საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

F 171
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

12

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დეკემბერი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-4241

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 9 ნოემბრის ბრძანება № 1033

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 1975—1976 სასწავლო წლის შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ამოცანების შესახებ

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებაში. ბოლო წლებში ამ სკოლებში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის მიზნით, მუშაობა წარიმართა ისეთი სერიოზული ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა: სწავლების ყველაზე რაციონალური ფორმების განსაზღვრა, სკოლების ქსელის ორგანიზაცია, დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შერწყმა, მოსწავლეთა კონტინგენტის დაკომპლექტებისა და შენარჩუნების გზებისა და მეთოდების შემუშავება, სკოლებში ხელმძღვანელობის, კონტროლის, მეთოდური მუშაობის გაუმჯობესება.

სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების დიდი ნაწილი კარგად დაეუფლა საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკას. უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად მოწყობას, სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს და სათანადო დახმარებას უწევს მასწავლებლებს.

განათლების განყოფილებები, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლები საქმიან კონტაქტებს ამყარებენ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, კარგად იყენებენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების დახმარებას, რის შედეგადაც აღწევენ მომუშავე ახალგაზრდობის მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმას სწავლებაში, მოზრდილთა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მოსწავლეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული

შელავათების განხორციელებას. ასეთი მდგომარეობაა აჭარის ასსრ-ს. პუბლიკაში, ქ. ტყიბულში, მახარაძის, ჩხოროწყუს, მცხეთის, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატარებული ღონისძიებების შედეგად 1976—1977 სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა 105,8 პროცენტით შესრულდა, ნაცვლად 48500 კაცისა იგი შეადგენდა 51811-ს. ამ დარგში უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს აჭარის ასსრ (113,5 %), ლაგოდეხის (127 %), მარნეულის (112 %), წალკის (131,5 %), წულუკიძის (148 %), ლანჩხუთის (134 %), გურჯაანის (149,5 %), ბოლნისის (119 %) და სხვა რაიონების განათლების ორგანოებმა.

საგრძნობლად ამაღლდა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება 1974—1975 სასწავლო წელთან შედარებით 87,3 პროცენტიდან 88 პროცენტამდე გაიზარდა, სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რიცხვი 2050 კაცით შემცირდა.

წარმატებებს აღწევენ თბილისის რესპუბლიკური, ბათუმის საოლქო და მეზღვაურთა რესპუბლიკური, ახმეტის რაიონული, ჯავის რაიონის კვაისის, ქ. ბათუმის № 1, წითელწყაროს რუსული, თბილისის 23-ე, 28-ე, ქ. ქუთაისის, ჭიათურის, ბორჯომისა და რიგი რაიონების სკოლები.

მასწავლებელთა უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს, სერიოზულად ემზადება გაკვეთილებისა და კონსულტაციებისათვის, საღამოს სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით საგნების სწავლებაში ნერგავს სიახლეს, აღწევს იმას, რომ მოსწავლეებმა ძირითადად გაკვეთილზეე შეისწავლონ ახალი მასალა, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს. კარგად მიმდინარეობს ცალკეული საგნების სწავლება: ქართული ენისა და ლიტერატურის—თბილისის 23-ე და მე-11, ბათუმის პირველ, მე-6 და საოლქო დაუსწრებელ სკოლებში; რუსული ენისა და ლიტერატურისა—თბილისის პირველ, მე-40, ფოთის მე-2, ყვარლის რაიონის შილდის, ქ. ზუგდიდის მე-2 სკოლებში; მათემატიკის—თბილისის 26-ე, მახარაძის რაიონულ დაუსწრებელ, ვანის რაიონის შუაგორის სკოლებში, ფიზიკის—გურჯაანის რაიონის ვეჯინის, ახმეტის რაიონულ სკოლებში; ქიმიის—ბათუმის მე-3, ზუგდიდის რაიონის ინგირის სკოლებში: „ისტორიის—გურ-

ჯაანის რაიონის კარდანახის, ორჯონიკიძის რაიონულ დასწრებულ-დაუსწრებელ და ბევრ სხვა სკოლაში.

ასრულებენ რა საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილებას „რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, განათლების ორგანოებმა, საღამოსა და დაუსწრებელმა სკოლებმა მიმდინარე წელს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, ფართოდ გაშალეს მუშაობა საშუალო განათლების არამქონე მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმისათვის. 22 რაიონში ახლად შეიქმნა საღამოს სკოლები ან გადაკეთდა დაუსწრებელ და დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებად. ამის შედეგად ბევრ რაიონში (გორი, დმანისი, საგარეჯო, აბაშა, საჩხერე და სხვა) მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა რესპუბლიკაში წელს 115 პროცენტით შესრულდა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48.500 მოსწავლისა სკოლებში ირიცხება 55740 მოსწავლე. თუ 1974 წელს კონტინგენტის გეგმა ვერ შესრულდა 29 ქალაქსადა რაიონში, წელს მათი რიცხვი 9-მდე შემცირდა. კარგად იმუშავეს ამ მიმართულებით თეთრიწყაროს, თიანეთის, თერჯოლის, მცხეთის, ცხაკაიას, ხაშურის, ხობის, გარდაბნის და სხვა რაიონების განათლების ორგანოებმა. ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა და ყველა ღონისძიება ტარდება სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოზრდილთა სწავლებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს გასულ წელს მოსწავლეთა კონტიგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა ვერ შესრულდა ქ. თბილისში (97,3 %), ქუთაისში (95 %), ჭიათურაში (90,5 %), ხობში (73 %), ცაგერში (88 %) და სხვა რაიონებში, ხოლო მიმდინარე წელს კი— ქ. ქ. რუსთავში (87 %), ქუთაისში (95 %), სამტრედიის (95 %), თელავის (89,7 %), ქ. თბილისის ლენინის სახელობის (95 %) და სხვა რაიონებში.

ზოგან სათანადო დასკვნები არ გააკეთეს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებიდან, არ გაატარეს საჭირო ღონისძიებანი მომუშავე ახალგაზრდების სწავლების გასაუმჯობესებლად. კასპის რაიონში მხოლოდ ერთი საღამოს სკოლაა, ისიც ქ. კასპში, არც ერთ სოფელში არაა შექმნილი საღამოს კლასი, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი და ჯგუფი ე. ი. სოფლად მომუშავე ახალ-

გაზრდობა მთლიანად დარჩენილია სწავლების გარეშე. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების, ჯგუფების და საღამოს კლასების ქსელი გაფართოებას საჭიროებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ქ. ბიჭვინთის ზონაში, გეგეჭკორის, სატრედიისა და მთელ რიგ ხევსასწავლო რაიონებში.

წინა წელთან შედარებით შემცირების მიუხედავად კვლავ დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რიცხვი და იგი 8117 კაცს შეადგენს, მათ შორის 1335 არასაპატიო მიზეზითაა გასული. აფხაზეთის ასსრ სკოლებიდან გავიდა 1067 მოსწავლე); მათ შორის არასაპატიო მიზეზით—295, გაგრის სკოლებიდან გავიდა მოსწავლეთა 40%, ტყვარჩელის სკოლებიდან გასულია 30 %—აქ 65 მოსწავლე გარიცხულია სკოლებიდან, ქ. თბილისის სკოლებიდან გასულია 1668 (23 %), ქ. ქუთაისის სკოლებიდან —291 (15 %), ქ. რუსთავის სკოლებიდან—651 (24 %) და ა. შ.

მოსწავლეთა მიერ 1975—1976 სასწავლო წელს გაცდენილია 1727918 აკადემიური საათი, მათ შორის არასაპატიო მიზეზით—755549, აბაშის რაიონის დღის სკოლებთან არსებული საღამოს კლასების მოსწავლეთა მიერ გაცდენილი 11887 გაკვეთილიდან 6115 არასაპატიოა, გარდაბნის რაიონის საღამოს სკოლების მოსწავლეთა მიერ გაცდენილი 25580 გაკვეთილიდან ნახევარზე მეტი არასაპატიოა, ანალოგიური მდგომარეობაა მაიაკოვსკის, სიღნაღის, წალკის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ყვარლის რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის სკოლებში. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების გაცდენების შემთხვევებიც.

ხობის, ლენტეხის, ლანჩხუთის, ონისა და სხვა რაიონებში სუსტად სრულდება მომუშავე ახალგაზრდების სწავლების გაუმჯობესების თაობაზე განათლებისა და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებები; ცალკეული ორგანიზაციები, მეურნეობები, საწარმოები არ ზრუნავენ მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაზე. მოსწავლეები ვერ სარგებლობენ მთავრობის მიერ დაწესებული გადაწყვეტილებით ყველგან არაა ერმანეთთან შეხამებული პროფტექნიკური სასწავლებლებისა დს საღამოს სკოლების მუშაობის რეჟიმი. განათლების განყოფილებების გამგეები და სკოლის დირექტორები ურიგდებიან ამ ნაკლოვანებებს, საკითხს არ აყენებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი კვლავ სუსტად მუშაობს, ვერ ფლობს საყამოს სკოლაში საგნის სწავლების მეთოდებს, მოსწავლეებში ვერ აღძრავს სწავლისადმი ინტერესს. ამის გამო დაბალია მათი ცოდნის დონე. ქ. ზუგდიდის საყამოს სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მხოლოდ 76 % შეადგენს, აფხაზეთში—81 %, ქ. ზესტაფონში—70,5 %, ახალციხეში—80 %, თიანეთში—70 %, საჩხერეში—70 %, სამტრედიაში—79 % და ა. შ.

კვლავ დიდია იმავე კლასში დარჩენილ მოსწავლეთა რიცხვი, სასწავლო წლის ბოლოს მერვე კლასების მოსწავლეთაგან დაამთავრა რვა კლასი მხოლოდ 83,2 პროცენტმა, მე-11 კლასი კი 87,1 პროცენტმა, ეს მონაცემები განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ბოგდანოვკის (55—57 %), ახალქალაქის (42—66 %), ქ. რუსთავის (70,5—66 %), ბოლნისის (70—68 %), სამტრედიის (70—74 %) და სხვა რაიონების სკოლებში.

სუსტად მუშაობენ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან, რის გამო ბევრი მათგანი ტოვებს სკოლებს. აჭარის ასს რესპუბლიკის საყამოს სკოლების 240 მეორეწლიანი მოსწავლიდან სწავლას აგრძელებს მხოლოდ 47.

განათლების განყოფილებათა გამგეების უყურადღებობის შედეგად ზოგან კვლავ მოუწესრიგებელია საყამოს სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი, სკოლებში შექმნილი არ არის საბიბლიოთეკო ფონდი.

მასწავლებელთა მუშაობის დაბალი დონე მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია შინასასკოლო კონტროლის შესუსტებით. სკოლის დირექტორებისა და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მათი მოადგილეების გაკვეთილებზე დასწრება ყოველთვის არ ატარებს მიზანდასახულ და სისტემატურ ხასიათს, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები არაკვალიფიციურია. ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის საყამოს საშუალო სკოლის დირექტორს მ. საშველიძეს გასულ სასწავლო წელს მოსმენილი აქვს მხოლოდ 35, ხოლო სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მის მოადგილეს ს. ჭყონიას—25 გაკვეთილი, ქ. რუსთავის საყამოს მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ჩაჩანიძეს და მის მოადგილეს ვ. რეხვიაშვილს—10—10 გაკვეთილი.

ზოგან არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პედაგოგიური საბჭო. იშვიათად იხილება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ცალკეული საგნების სწავლების საკითხები. არ ისახება ღონისძიებანი მდგომა-

რეობის გასაუმჯობესებად. ზოგიერთ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში იშვიათად იმართება პედაგოგიური თათბირები.

მიუხედავად გაფრთხილებისა მაინც აქვს ადგილი სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებს — ქ. ოზურგეთი, ქ. ქუთაისის მე-5 სკოლა და სხვა,.

ბევრგან არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის. ჯერ კიდევ ადგილი აქვს დისციპლინის უხეშად დარღვევის და დანაშაულის ჩადენის ფაქტებს. ტყვარჩელის პირველი სკოლის მოსწავლე ვ. კუცენკომ ჩაიდინა მკვლელობა, ქ. რუსთავის საღამოს მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლე გ. ბარუსაშვილი დაკავებულია მსუბუქი ავტომანქანის გატაცებისათვის, ანალოგიური შემთხვევები იყო ქ. გორის, ახალქალაქის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, თერჯოლის რაიონების საღამოს სკოლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ მოზრდილთა სწავლების გარდაქმნა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რისთვისაც:

—განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მითითებებით, რომ მოზრდილთა სწავლებას არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი, იგი რიცხობრივად უნდა გაფართოვდეს და სრულყოფილი გახდეს. მომავალში იმგვარად დაგეგმონ სკოლების ქსელი და სწავლების ფორმები, რომ შესაძლებელი იყოს რვა წლიანი და საშუალო განათლების არამქონე მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში მაქსიმალურად ჩაბმა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლად სასწავლო საკონსულტაციო პუნქტების, ჯგუფების და საღამოს ქსელის გაფართოებას;

—სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეს საფუძვლად დაუდონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მითითება იმის შესახებ, რომ „თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება. უკვე შეუძლებელია, რომ მთავარი

იმედი დაამყარო გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე... დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვებს ჩავუნერგოთ ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების მეცნიერული და პოლიტეკნიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი... საჭიროა გავუმჯობესოთ მასწავლებელთა მომზადება, შევუსაბამოთ თვით სწავლების, ცხოვრების მოთხოვნებს, უზრუნველვყოთ სკოლა თანამედროვე დამხმარე სახელმძღვანელოებით, მათ შორის თვალსაჩინოებით";

—უზრუნველყონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1976 წლის 8 სექტემბრის № 55—6 ცირკულარულ წერილში „საღამო (ცვლიან) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის ხარისის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ" მოცემულ მითითებათა შესრულება;

—წინასწარ საფუძვლიანად მოამზადონ და მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ყველა საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები, სადაც განიხილონ საკითხი სწავლების ხარისხის ამაღლების განმავითარებელი სწავლების შესახებ, იმ მიმართულებებისა და მითითებათა შესაბამისად, რომლებიც დასახა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და რაც განემარტათ სკოლების დირექტორებს ზონალურ თათბირებზე;

—სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება ტექნიკური საშუალებები, თეორიული მასალა მჭიდროდ დააკავშირონ პრაქტიკასთან, არ დაუშვან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანების შეუსრულებლობა საღამოს სკოლების მიერ დღის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით და ხელსაწყო.იარაღებით დაუბრკოლებლივ სარგებლობის შესახებ;

—განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანების აუცილებლივ შესრულება იმ ნაწილში, რომ საღამოს სკოლებისადმი ხელმძღვანელობა ბრძანებით დაკისრებული ჰქონდეს განყოფილების ერთ-ერთ ინსპექტორს, ხოლო დღის სკოლებთან არსებული საღამოს კლასების, აგრეთვე სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ხელმძღვანელობა ეკისრებოდეს დღის სკოლის დირექტორს, რათა ყველგან წარმატებით იქნეს განხორციელებული კანონი საყოველთაო საშუალო განათლების შესახებ;

—მოზრდილთა სკოლები განამტკიცონ საქმის მცოდნე და კვალიფიციური მასწავლებელთა კადრებით, რომელთაც უნარი შეეძლებათ გაართვან თავი მომუშავე ახალგაზრდების სწავლებასთან დაკავშირებულ სპეციფიურობას და სიძნელეებს, არ დაუშვან ამ სფეროში მოცდილი კადრების გაუმართლებელი შეცვლა მუშაობის სტაჟის არმქონე პედაგოგებით.

—განათლების განყოფილებებმა, სკოლის დირექტორებმა: განამტკიცონ ყოველდღიური კავშირი და ურთიერთობა საწარმოებთან, მეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან. მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი პარტიული, საჭოთა ორგანოების დახმარება, ყოველდღიურად იხელმძღვანელონ და იარძოლონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის 1970 წლის 6 აპრილის დადგენილების „რესპუბლიკის ძუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და მის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1976 წლის 10 მაისის № 467 ბრძანების განხორციელებისათვის;

—ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. განახორციელონ მოზრდილთა სწავლების გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებები;

—მკვეთრად გააძლიერონ დახმარება და მომთხოვნელობა, გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა, განამტკიცონ შრომის დისციპლინა თითოეულ კოლექტივში, მხარი დაუჭიროს და შეასრულონ რუსთაველ მეტალურგთა მოწოდება—„არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“, რომელიც მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფართოდ განიხილება მშრომელთა კოლექტივებში.

—წინადადება მიეცეთ განათლების განყოფილებათა გამგეებს, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს საფუძვლიანად შეისწავლონ მოზრდილთა სკოლების მუშაობის სახელმძღვანელო დოკუმენტები, მომავალში არ დაუშვან საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დებულების, სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების დარღვევის შემთხვევები, სრულ წესრიგში იქონიონ სკოლების დოკუმენტაცია, მოსწავლეთა პირადი საქმეები;

—ყველა სკოლაში გააანალიზონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, გაარკვიონ მიზეზები, თუ რატომ ვერ ამთავრებს მე-8 და მე-11 კლასებს მოსწავლეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და

უზრუნველყონ ამ დარგში მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. განათლების განყოფილებებმა მთელი სიმკაცრით მოსთხოვონ პასუხი იმ სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს, რომლებიც სერიოზულ ნაკლოვანებებს უშვებენ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მომუშავე ახალგაზრდების სწავლების ორგანიზაციისათვის ქ. ქ. რუსთავის, გაგრის, ტყვარჩელის, კასპის, სამტრედიის რაიონების განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილად;

—აღნიშნული ბრძანება განიხილოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიებზე, განათლების განყოფილებებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წ. 21 ოქტომბრის კოლეგიის დადგენილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 12 ნოემბრის ბრძანება № 1041

მშობლიურ ლიტერატურაში მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

მოსწავლეთა მეცხრე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ მშობლიურ ლიტერატურაში, რომელიც 1975—1976 სასწავლო წელს ჩატარდა, ხელი შეუწყო ახალგაზრდობის ინტერესის ზრდას თანამედროვე და და კლასიკური მწერლობისადმი, აამაღლა მათი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა.

ოლიმპიადა ორ ეტაპად ჩატარდა, ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მერვე, მეცხრე და მეათე კლასების ხუთიათასამდე მოსწავლემ, მათგან დასკვნით, რესპუბლიკურ ტურში ნონაწილეობისათვის დაშვებულ იქნა 930. საბოლოოდ გაიმარჯვა და სიგელებით დაჯილდოვდა 391 მოსწავლე.

განვლილმა ოლიმპიადამ გვიჩვენა, რომ რესპულიკის ზოგადსაანმანათლებლო სკოლების გარკვეულ ნაწილში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე კარგად არის დაყენებული, რის შედეგადაც მოსწავლეები ამჟღავნებენ ნაკითხობას, მხატვრულ გემოვნებას გამოირჩევიან ლოგიკური მსჯელობითა და მოვლენების ღრმა ანალიზის უნარით, მართლწერის წესების კარგი ცოდნით. ოლიმპიადაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს: თბილისის 48-ე, 55-ე, 102-ე, 142-ე, ქუთაისის 30-ე, 31-ე, რუსთავის მე-17, მახარაძის 1-ლი და მე-2, ახალციხის 1-ლი, ცხინვალის 1-ლი და ზესთაფონის მე-2 საშუალო სკოლებმა და სხვა.

ოლიმპიადის მონაწილეებმა დაახლოებით თანაბარი წარმატებით დაძლიეს ყველა თემა, მათმა გარკვეულმა ნაწილმა კი პროგრამისგარეშე ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნაც გამოამჟღავნა.

შეთავაზებული თემის სწორად გადაწყვეტით, ორიგინალური მსჯელობითა და მაღალი მხატვრული გემოვნებით გამოირჩევა ნ. ზ. იაკობაშვილის (წითელწყაროს № 1 საშ. სკოლა), მ. ნ. გოგოლაძის (თბილისის მე-10 საშ. სკოლა), თ. მ. ფოცხიშვილის (თბილისის 53-ე საშ. სკოლა), მ. ო. ტორჩინავას (რუსთავის მე-18 საშ. სკოლა), ნ. გ. ბიბილეიშვილის (თბილისის 112-ე საშ. სკოლა), ბ. გ. ზნამენსკის (თბილისმს მე-18 საშ. სკოლა), ტ. ტუტუნიკის (ბათუმის მე-15 საშ. სკოლა) და სხვათა წერითი ნამუშევრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ამასთან, მეცხრე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ცხადყო, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი: მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ შესრულებული თხზულებები თემას არ პასუხობს; არ იცნობენ ლიტ-ლიტერატურულ ტექსტებს, უშვებენ ფაქტობრივ, აზრობრივ, ორთოგრაფიულ-პუნქტუაციურ და სტილისტურ შეცდომებს, წარმოდგენა არ აქვთ მხატვრულ სტილზე, სიტყვათა შეთანხმებაზე დროსა და რიცხვში, მართვაზე, მირთვაზე და სხვა.

განსაკუთრებით ცუდი მომზადება გამოამჟღავნეს თბილისის 149-ე, გალის რაიონის დიხაზურგის. ქ. სოხუმის მე-2, მე-4, მე-11, მე-17, გუდაუთის რაიონის ახალსოფლის, სოხუმის რაიონის შრომის, ცხაკაიას 1-ლი, რუსთავის მე-6, მე-16, 21-ე, მაიაკოვსკის 1-ელ ობჩის, ორჯონიქიიძის რაიონის ვარძიის საშუალო სკოლების, თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა, რომელთა ნამუშევრებმა ოლიმპიადის დასკვნით ტურზე „ცუდი“ შეფასება დაიმსახურეს. ცალკეული სკოლების წარუმატებლობა იმანაც განაპირობა, რომ ზოგიერთი ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მასზე დაკისრებული საპატიო მოვალეობის შესრულებას—დაუმსახურებლად მაღალი ნიშნებით შეაფასა და დასკვნით ტურში მონაწილედ მოავლინა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსწავლეთა მეცხრე ლიტერატურულ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდნენ:

I ხარისხის სიგელით—61 მოსწავლე;

II ხარისხის სიგელით—330 მოსწავლე.

2. მშობლიური ლიტერატურის მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტ იცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ა. ბარამიძე—აკადემიკოსი, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე);

ს, დვალი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

მ. ოჩიგავა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითი სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ე. გულდამაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

ო. დოლაბერიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედმეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ჰუმანიტარული საგნების სწავლების მეთოდიკების სექტორის გამგე;

ვ. ტურძელაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი;

ა. კვასხვაძე—მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის მეთოდისტი;

გ. ჯავახიშვილი—მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი;

ვ. შელემეტევა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი;

ე. სურგულაძე—თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი;

გ. მიქაელიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი;

ვ. გასპარიშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

ნ. მურადოვი—გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი;

ნ. ვოსკანიანი—თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი;

ა. კასრაძე—თბილისის ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე.

ე. ქურციკიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

3. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

4. სასკოლო ტური ჩატარდეს 1976 წლის 19 დეკემბერს, რაიონალური—1977 წლის 30 იანვარს, ხოლო რესპუბლიკური—6 მარტს.

5. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის სკოლებს, რაიონებსა და ქალაქებს.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებს რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება;

ბ) მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის ჩატარებისათვის ზონებში შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) და ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ზ. ლომიძე) 1975 წელს გამოყონ საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო საწერი ქაღალდი.

9. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედსაბჭოების სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 10 ნოემბრის დადგენილება.

მინისტრი **ო. ჭინჭლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის
16 ნოემბრის დადგენილებით

მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადის დებულება

1. ოლიმპიადის მიზანია გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ამ საგნით დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

2. ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლია რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII-X (IX) კლასების ყველა იმ მოსწავლეს, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ლიტერატურისადმი, წარმატებით ეუფლება აღნიშნულ საგანს.

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების მინისტრი;

ბ) ზონალური კომიტეტი—ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებთან. ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ცენტრიდან და ზონაში შემავალი რაიონებიდან. ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

გ) სასკოლო კომიტეტი — რვაწლიან, საშუალო სკოლაში. კომისიის შემადგენლობაში, სათანადო საგნის სპეციალისტებთან ერთად, შევლენ დირექციისა და სასკოლო კომკავშირული კომიტეტის წარმომადგენლები, კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად: პირვე-

ლი—სასკოლო ტური—ტარდება სკოლაში, მეორე—ზონალური—ზონის ცენტრში, ხოლო მესამე—რესპუბლიკური—ქ. თბილისში. სასკოლო ტურს ატარებს ოლიმპიადის სასკოლო-საორგანიზაციო კომიტეტი, ზონალურ ტურს—ზონის ცენტრის, ხოლო რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

5. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად:

1. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ მოსწავლეთათვის;

3. ბათუმი—აჭარის ასსრ მოსწავლეთათვის;

4. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

5. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქუთაისი—ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

7. სამტრედია—სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

8. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

9. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

11. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. ჭიათურა—ქიათურის, საჩხერის, რაიონების სკოლების მოსწავლეთათის;

13. გორი—ქ. გორის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

14. მცხეთა—მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ახალქალაქი—ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

17. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა
F-9211
ბარნაულის სახ. საქ. სსრ
ეროვნული რესპუბლიკ.

18. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს, წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თელავი—თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

20. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21, მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონები სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ამბროლაური—ამბროლაურის, ონის რაიონების სკოლები მოსწავლეთათვის;

23. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ცაგერი—ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

26. ყაზბეგი—ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

27. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

28. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეთათვის.

6. სასკოლო ტური ჩატარდება 1976 წლის 19 დეკემბერს, ზონალური—20 იანვარს, ხოლო რესპუბლიკური—6 მარტს. მოსწავლეებ სასკოლო ტურში მონაწილეობისათვის შეარჩევენ საგნის მასწავლებლები. გამარჯვებულნი დაიშვებიან ზონალურ ტურზე. მათი სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. სასკოლო ტურისათვის თემებს ადგენენ შესაბამისი რაიონების განათლების განყოფილებები, ზონალური და რესპუბლიკური ტურებისათვის—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. თემებს დალუქული პაკეტებით საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

8. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ოლიმპიადაზე წერითი სამუშაო სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

9. ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეებისათვის თემის დასაწერად განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

10. ზონალური ტურის მონაწილე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გა-

მარჯვებულთა შეფასების ნიშნებსა და ნაწერებს არაუგვიანეს 15 დღისა ზონალური ტურის ჩატარებიდან, უგზავნიან შესაბამისად — ზონალურ, რესპუბლიკურ კომიტეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში, დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს განიხილავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებას („4/4", „4/5", „5/4", ან „5/5").

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის ნოემბრის ბრძანება № 1085

რესპუბლიკის შუა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სამტრედიის რაიონში

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სამტრედიის რაიონში გარკვეული ღონისძიებანი ტარდება მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. ამჟამად რაიონის დაუსწრებელ და ორ საღამოს სკოლაში 631 მოსწავლე სწავლობს. მეცხრე ხუთწლედში ნაცვლად გეგმიური 2722 ახალგაზრდისა სწავლებაში ჩააბეს 3179 (120 %),საშუალო განათლება მიიღო 545-მა, ხოლო 8 კლასი დაამთავრა 226-მა. სკოლები განამტკიცეს კვალიფიციური კადრებით. ჯეროვანი ყურადღება ექცევა მეთოდურ მუშაობას მასწავლებლებთან.

ცალკეული საგნების სწავლებაში დადებით შედეგებს აღწევენ მასწავლებლები: ო. კახიანი, ბ. ჯორბენაძე, მ. კოპალეიშვილი, დ. მიქელაძე, ი. მეგრელიშვილი და სხვები.

მაგრამ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცკ-ის 1976 წლის 6 აპრილის დადგენილებისა და მის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1976 წლის 10 მაისის № 467 ბრძანების შესასრულებლად სამტრედიის რაიონში არ გატარდა საკმაო ღონისძიებანი; ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნული დადგენილება დღემდე არ გამხდარა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ფართო განხილვის საგანი, რაც ამ საქმისადმი განათლების განყოფილების, დაუსწრებელი და საღამოს სკოლების დირექტორების პასიური დამოკიდებულებითაც უნდა აიხსნას.

რაიონში არაა შექმნილი მომუშავე ახალგაზრდების სწავლების,

შესახებ კანონის განხორციელებისათვის საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო, ბევრ საწარმოში, ორგანიზაციაში, მეურნეობაში არ არის ზუსტად აღრიცხული და არაა შედგენილი 16—29 წლის ასაკის ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ამაღლების პერსპექტიული გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად საჭიროებისა და ამის შესაძლებლობისა მიმდინარე წელს რაიონში არ გაფართოვდა საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ქსელი. ისეთ დიდ სოფლებში, როგორიცაა: იანეთი, გომი, დიდიჯიხაიში და სხვა არ არის შექმნილი სასწავლო საკონსულტაციო პუნქტები, ჯგუფები ან კლასები. სკოლებს შორის არ არის გამიჯნული მიკრორაიონები. ყოველივე ამის გამოც, რომ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა მიმდინარე წელს რაიონში მხოლოდ 94 პროცენტით შესრულდა, თუმცა სწავლაში ჩასაბმელთა რიცხვი საკმაოდ დიდია.

1975—1976 სასწავლო წლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მხოლოდ 79 % შეადგენდა. მეთერთმეტე ალასი ვერ დაამთავრა ამ კლასების მოსწავლეთა 26 %, ხოლო რვა კლასი 30 %-მა.

კვლავ დიდია გაკვეთილების გაცდენების შემთხვევები. 1975—1966 სასწავლო წელში გაცდენილი იყო 20268 საათი. მათ შორის არასაპატიოა 9797. მიმდინარე წლის ორ თვეში გაცდენილია 2880 საათი. შემოწმებისას გაკვეთილებს მოსწავლეთა მხოლოდ 60 % ესწრებოდა. არაა მოგვარებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სწავლების საკითხი მათი საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

არსებითი ნაკლოვანებებია სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. არასწორადაა შედგენილი გაკვეთილებისა და კონსულტაციების ცხრილები. მთელი რიგი საგნები დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ისწავლება.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ ამჟღავნებს მყარ, შეგნებულ ცოდნას მშობლიურ, აგრეთვე რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში. ხშირ შემთხვევაში მათ არ შეუძლიათ გააზრებული, დამოუკიდებელი მსჯელობა ამა თუ იმ თემაზე, არა აქვთ სწორი წარმოდგენა ნაწარმოების იდეურ მიმართულებაზე. არიან დაუფლებულნი კითხვის ტექნიკას, მეტყველებაში უშვებენ ენაში შეცდომებს, წერენ შეცდომებითა და ცუდი კალიგრაფიით, არ ხდება შეცდომების გასწორებაზე მუშაობა, ზოგ საგანში დღემდე არც ერთი საკონტროლო წერა არ არის ჩატარებული.

რაიონის საღამოს სკოლებში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში საკონტროლო დავალების შესრულება დადებითად შეძლო გაკვეთილებზე მყოფ მოსწავლეთა 87 პროცენტმა, [illegible] ენასა და ლიტერატურაში—47%, მათემატიკაში—75%. სამტრედიის საღამოს სკოლაში რუსულ ენაში არადამაკმაყოფილებლად შეასრულა საკონტროლო შრომა 33%-მა, კულაშის საღამოს სკოლაში—64 %-მა, მათემატიკაში—36 %-მა.

მოსწავლეთა დაბალი ცოდნა გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ვერ ატარებს გაკვეთილებსა და კონსულტაციებს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად; უგულებელყოფს განმავითარებელ სწავლებას, პრობლემური სიტუაციების შექმნა სწავლებაში, არ ითვალისწინებს მომუშავე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ბიუჯეტის შეზღუდულობას; მოსწავლეებთან არ მუშაობს დიფერენცირებულად და ინდივიდუალურად, ძირითადი სასწავლო დატვირთვა გადააქვს საშინაო დავალებაზე.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული, რომ საღამოს სკოლებში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი განათლების განყოფილება საკმაო ხელმძღვანელობასა და კონტროლ ვერ უწევს მათ მუშაობაში. სკოლები არაა უზრუნველყოფილი ს ხელმძღვანელოებით. ზოგან სწავლების რეჟიმი არ შეესაბამება წარმოებაში ახალგაზრდობის დასაქმებას.

არსებული ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

—საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველ მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი განსახილველად და ზომ ბის მისაღებად გაეგზავნოს სამტრედიის რაიონის განათლების განყ ფილებას;

—განათლების განყოფილებამ (ამხ. კ. ძნელაძე) დაუსწრებ და საღამოს სკოლების დირექტორებმა (ამხ. ამხ. ო. კახიანი, დ. მიქელაძე, დ. შენგელია) უზრუნველყონ საქართველოს კპ ცენტრალუ კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილების შეს ლება, რომელიც ითვალისწინებს სახალხო მეურნეობაში დასაქმებუ ახალგაზრდების საშუალო განათლების განხორციელებას.

—მიაღწიონ ამ საქმეში ადგილობრივი პარტიული და საბჭ ორგანოების მხარდაჭერას და ყოველდღიურ დახმარებას. ისე მო ყონ საქმე, რომ თვითოეული საწარმოს, ორგანიზაციის, მეურნეობ

ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას გრძნობდეს და მომუშავე ახალგაზრდების სწავლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს აბარებდეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ამის ინიციატორები და ორგანიზატორები უნდა იყვნენ განათლების ორგანოები და სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ყოველ საწარმოსა და ორგანიზაციაში დააზუსტონ 16—29 წლის ასაკის საშუალო განათლების არამქონე მომუშავე ახალგაზრდების სიები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომში შეიტანონ დასამტკიცებლად მათი სწავლებაში ჩაბმის გეგმები. მომავალი სასწავლო წლიდან გარდაქმნან საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელი იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი გახდეს მომუშავე ახალგაზრდების მაქსიმალური ჩაბმა სწავლებაში და მათი სწავლების რეჟიმი შეესაბამებოდეს სამუშაო პირობებს.

—გარდაქმნან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. მკვეთრად აამაღლონ სწავლების ხარისხი—ამ დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებიდან გამომდინარე იმ მიმართულებათა შესაბამისად, რაც შეიმუშავა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და განემარტათ განათლების მუშაკებსა და სკოლის დირექტორებს ზონალურ თათბირებზე. ყოველდღიურად იხელმძღვანელონ ამ საკითხზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1976 წლის 8 სექტემბრის № 55 ცირკულარული წერილით.

—მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის მკვეთრად ამაღლებას, მათ მიერ დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევების გამომუშავებას, აკადემიური ჩამორჩენილობის დაძლევას.

—ახალ მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად გააძლიერონ დახმარება და მომთხოვნელობა მასწავლებელთა მიმართ. გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი.

განამტკიცონ სასწავლო მატერიალური ბაზა ისე, რომ დაუსწრებელსა და საღამოს სკოლებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობით თვალსაჩინო მასალები, სწავლების ტექნიკური საშუალებები და სახელმძღვანელოები, იზრუნონ კულაშის საღამოს საშუალო სკოლისათვის გამოყოფილი საკუთარი შენობის რეკონსტრუქციისათვის.

—მიაღწიონ წარმოებისაგან მოუწყვეტლად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათების განხორციელებას, იმას, რომ ყველგან ხდებოდეს მათი მორალური და მატერიალური სტიმულირება. განამტკიცონ კავშირურთიერთობა სა-

წარმოებთან. უზრუნველყონ მოსწავლეთა გაკვეთილებზე სისტემატურ დასწრება, განამტკიცონ დისციპლინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 25 ნოემბრის დადგენილება.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 9 დეკემბრის ბრძანება № 1113

1976 წლის ზამთრის სეზონისათვის განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა მზადების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების უმრავლესობა მომზადებული ხვდება ზამთარს. ამ დაწესებულებებში დროულად და ხარისხიანად ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შეკეთდა შენობათა სახურავები და წყალსაწრეტი მილები, ცენტრალური გათბობის ქვაბები და თბოგაყვანილობა. ჩატარდა დათბუნებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. შემოიზიდა სათბობი. ინტერნატულ დაწესებულებებში აღსაზრდელები დროულად მომარაგდნენ თბილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმელებით.

განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ ზამთრის სეზონისათვის რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებები, თელავის № 1 და № 5, ყვარლის № 1 და № 3, ლაგოდეხის რუსული საშუალო და № 5, ჭიათურის № 1 და № 3. ზესტაფონის № 4, ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების სოფლის სკოლები, წითელწყაროს, კოჯრის, ახალციხის № 1 და № 2 და წულუკიძის სკოლა-ინტერნატები, სამტრედიის სპეცსკოლა, გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სანატორული და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატები, ბათუმის, კოჯრის № 1 და № 4 საბავშვო სახლები.

მაგრამ შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ინტერნატულ დაწესებულებათა გარკვეული ნაწილი მოუმარაგებელი ხვდება ზამთრის სეზონს.

ცუდად არის მომზადებული ზამთრისათვის მარნეულის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი მ. მამედოვი). წელს ინტერნატის შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი იყო 7 ათა-

სი მანეთი, მაგრამ მარნეულის რაიონის სარემონტო კანტორამ ძალზე უხარისხოდ შეასრულა ეს სამუშაოები, საძინებელი კორპუსის I და II სართულზე 160 კვ. მეტრზე აყრილია პარკეტი, დაზიანებული წყალსაწრეტი მილებიდან ჩამონადენი წვიმის წყალი ბინებსა ეცლება. ზოგან შესაცვლელია კარ-ფანჯრები. საქვაბის საკვამლე მილი შუაზეა გაოატეხილი და ქვაბებში ვერ უზრუნველყოფს საწვავის სრულ წვას, რაც ზედმეტ დანახარჯებს იწვევს. სკოლა-ინტერნატში გატარებულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მაგრამ დირექციას არ უზრუნია აღსაზრდელთა საევაკუაციო გეგმის შედგენისათვის. მოუგვარებელია სასმელი და სამეურნეო წყლით სკოლა-ინტერნატის შეუფერხებლად მომარაგების საკმეც. 15 ნოემბრისათვის სკოლა-ინტერნატს მთლიანად არა ჰქონდა ათვისებული თბილი ინვენტარისათვის გამოყოფილი თანხები, აკლდათ 355 ქუდი, 720 წყვილი—წინდა. 357—„სვიტერი", 358 წყვილი —ხელთათმანი, 350—თბილი ხალათი და შარვალი.

გორდის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. გელენიძე) 5 ნოემბრისათვის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 10000 მანეთიდან წულუკიძის რაიონის სარემონტო კანტორას ათვისებული ჰქონდა მხოლოდ 3613 მანეთი. მთლიანადაა გამოსული მწყობრიდან ცენტრალური გათბობის სისტემა და ამიტომ შენობების გათბობა ოჯახის ღუმლებით ხდება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ხანძრის წარმოქმნის საშიშროებას.

დაუმთავრებელია მიმდინარე რემონტის სამუშაოები თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ა. დალაქიშვილი). 12 ნოემბრისათვის სკოლა-ინტერნატის შეკეთებისათვის გამოყოფილი 5000 მანეთიდან, სარემონტო კანტორას ათვისებული ჰქონდა 3000 მანეთი. ჯერ კიდევ შეუკეთებელი სახურავიდან და წყალსაწრეტი მილებიდან ჩამოედინება წვიმის წყალი. შესაკეთებელია თბოტრასა, მაგრამ მასალების უქონლობის მიზეზებით მშენებლებს არც კი დაუწყიათ ეს სამუშაოები. ავარიულ მდგომარეობაშია და აღებს საჭიროებს ცალკე მდგარი სახელოსნოს შენობა. შემოწმების მომენტისათვის არ იყო დამთავრებული დათბუნების სამუშაოები. სკოლა-ინტერნატისათვის გეგმით გამოყოფილი 3000 ტონა ქვანახშირიდან და 100 კუბმეტრი შეშიდან ადგილზე მოტანილი იყო 180 ტონა ქვანახშირი და 30 კუბმეტრი შეშა. სკოლა-ინტერნატი შედარებით უკეთ არის მომარაგებული თბილი ტანსაცმელით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქუ-

ლებს, წინდებს და რეიტუზებს, რომლებიც საკმაო რაოდენობით აკ-
ლიათ.

ზამთრისათვის განსაკუთრებით ცუდად არის მომზადებული ბე-
თანიის საბავშვო სახლი (დირექტორი ვ. ელიაძე). 1 ნოემბრიდან საბავ-
ბავშვო სახლი უნდა გადასულიყო სოფ. მარტყოფში მდებარე სკო-
ლა-ინტერნატის კომპლექსში, მაგრამ „საქენერგოს" სამშენებლო ტრე-
სტის მიზეზით მშენებლობა არ დამთავრებულა. მოსალოდნელ გადა-
სვლასთან დაკავშირებით გარდაბნის რაიონის განათლების განყოფი-
ლებას ბეთანიის საბავშვო სახლის შენობების, საქვაბისა და გარე სა-
ინჟინერო კომუნიკაციების შესაკეთებლად არ გამოუყვია სახსრები
და მასალები. საბავშვო სახლის დირექციის მიერ მიღებული ზომე-
ბის მიუხედავად ნოემბრის დასასრულისათვის არ თბებოდა საძინებე-
ლი და სასკოლო კორპუსები, არ მუშაობდა აბანო-სამრეცხაო. სასკო-
ლო კორპუსში დაზიანებული სახურავიდან რამდენიმე საკლასო ოთახ-
ში ჩამოედინება წყიმის წყალი. გათბობის სისტემის შესაკეთებლად
განათლების განყოფილებამ მხოლოდ 1 დეკემბერს გამოუყო თანხები.
დაგვიანებით დაიწყო დათბუნებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონის-
ძიებების გატარება. მთლიანად არ არის შემოზიდული სათბობი (190
ტონა ქვანახშირის ნაცვლად, შემოზიდულია 5 ტონა). დიდი რაო-
დენობით აკლიათ ქუდები, თბილი წინდები, შარვლები „სვიტრები"
და ხელთათმანები.

ნოემბრის დასაწყისისათვის სიღნაღის რაიონის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებები სანახევროდ იყო უზრუნველყოფილი
(2000 კუბმეტრი შეშის ნაცვლად, შემოზიდული იყო 1000 კუბ-
მეტრი).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს
სარევიზიო ჯგუფის მიერ განათლების სამინისტროს მომარაგების ბა-
ზის მორიგი დოკუმენტური შემოწმების გაჭიანურებისა და საწყობებ-
ში (ნოემბრის მეორე ნახევრიდან) რბილი და მაგარი ინვენტარის გა-
ცემისის ოპერაციების შეწყვეტიდან დიდი დაბრკოლებები შეუქმნა
ზამთრის სეზონისათვის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა
და ბაგა-ბაღების რბილი და მაგარი ინვენტარის. დროულად უზრუნ-
ველყოფის საქმეს.

ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ გარდაბნისა და მარნეულის
სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. გ. ქვრივიშვილი,
ი. გეიდაროვი) სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს მათ დაქვემდებარე-

ბაში მყოფი ყველა სასწავლო დაწესებულების ზამთრის სეზონისათვის მომზადება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და ბაგა-ბაღების დირექტორებს;

ა) ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გადამჭრელი ზომები მიიღონ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სარემონტო სამუშაოების დასამთავრებლად. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შენობების ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების გეგმით გათვალისწინებული სათბობით უზრუნველყოფისათვის. არ დაუშვან ქვანახშირის, შეშისა და სხვა თხევადი საწვავი მასალის უყაირათო ხარჯვა;

გ) ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ აღსაზრდელთა თბილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფისათვის;

2. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

სახანძრო დაცვის ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შეამოწმონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ზამთრის სეზონისათვის მზადების მიმღინარეობა და მათი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფის მდგომარეობა.

3. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამგ. გ. კბილაშვილი):

ა) არ დაუშვას შეფერხებები სასწავლო-დაწესებულებების სათბობით მომარაგების საქმეში;

ბ) დროულად უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები ზამთრის სეზონისათვის საჭირო ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით, ფანჯრის მინებითა და სხვა საჭირო მასალებით.

4. აღინიშნოს მარნეულისა და გარდაბნის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი მუშაობა ზამთრის სეზონისათვის სასწავლო დაწესებულებების მომზადების საქმეში.

5. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა (ამხ. ამხ. რ. კანდელაკი, თ. ნიკოლაიშვილი) და სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი **ო. ძინძლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება

1976 წლის 25 ნოემბერი

ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლაში არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი ფიზიკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სკოლის ხელმძღვანელობისა (დირექტორი დ. გიორგაძე, მოადგილეები შ. რაზმაძე, ბ. თორაძე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ა. სილაგავა) და პედაგოგიური კოლექტივის, ფიზკულტურის მასწავლებელთა მუშაობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარდატეხა, საქმიანობის იმგვარი გარდაქმნა, როგორც ამას ითვლისწინების სამინისტრო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეში.

სკოლაში დამკიდრებულმა პრიმიტივიზმმა და გულგრილობამ, პედაგოგიური კოლექტივისა და მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტებამ განაპირობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი პასუხისმგებლობის დაქვეითება, ფაქტიურად ჩაშლის პირამდე მიიყვანა ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა.

სკოლაში რეალიზებული არ არის უდიდესი მნიშვნელობის მოთხოვნა-ფიზკულტურა იქცეს ნამდვილ სასწავლო საგნად. ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი ნ. ცაავა მასწავლებლები—ი. მხეიძე,

გ. გუდაშვილი გაკვეთილებს ატარებენ უფერულად უინტერესოდ და წინასწარი მომზადების გარეშე, დაბალ ორგანიზაციულ და მეთოდურ დონეზე.

ფიზკულტურა სრულიად არადამაკმაყოფილებლად ისწავლება დაწყებით კლასებში. ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლაში, რაგორც წესი, 10-12 წუთის დაგვიანებით იწყება, ხოლო მთავრდება 5 წუთით ადრე. ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის, სპორტული ფორმით გამოუხადებლობის, დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ყოველიფურად ფიზკულტურის გაკვეთილებს აცდენს საშუალოდ 40-მდე მოსწავლე.

სკოლაში იგნორირებულია კლასგარეშე სპორტულ-მასობრივი მუშაობა. სკოლისგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმულია მსწავლეთა მხოლოდ 23 პროცენტი. მათ შორის არც ერთი მოსწავლე არ მეცადინეობს სკოლის სპორტულ სექციებში. მიუხედავად იმისა რომ კლასგარეშე მუშაობაში გაერთიანეს მოსწავლეთა 23 პროცენტი, მიმდინარე სასწავლო წელს ამ სექციებში არც ერთი მეცადინეობა არ ჩატარებულა.

სკოლაში ფიზკულტურის კოლექტივი მხოლოდ ფიქტიურად არსებობს. არ ტარდება შიგასასკოლო სპარტაკიადები, მასობრივი შეჯიბრებანი სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით, სპორტული კვირეულები, არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სპორტის პროპაგანდა, უგულებელყოფილია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიცაა მასობრივი შეჯიბრება „იმედის სტარტზე“ და მშთ მრავალჭიდის სასკოლო პირველობა.

ფიზკულტურულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ მუშაობაშა სრულიად არ გამოიყენება მშთ ნორმატივების ჩაბარება. IV-X კლასებში 766 მოსწავლიდან მხოლოდ 106 მშთ ნიშნოსანია. გასულ წელს სკოლადამთავრებული 90 მოსწავლიდან მხოლოდ 19-ს აქვს ჩაბარებული მშთ ნორმატივები. სკოლაში ჩამოყალიბებული არ არის ნორმატივების ჩაბარებისათვის აუცილებელი საერთო ფიზიკური მომზადების სექცია. მშთ კომისია ფორმალურად არსებობს. მშთ ნიშნოსანთა მომზადებისას გამოვლინებულია მიწერისა და სიყალბის ფაქტები. ნიშნოსანთა 80 პროცენტს სრულიად უსაფუძვლოდ გადასცეს ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნები.

დღის რეჟიმის შემოწმებით გამოირკვა, რომ მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა არ ასრულებს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს,

სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში საერთოდ არ იღებს მონაწილეობას და ფიზკულტურის გაკვეთილებს გარდა, ფიზიკურად [illegible] თითქმის უმოქმედოა. სკოლის პედკოლექტივი ანგარიშს არ [illegible] გარემოებას, რომ მოსწავლეთა 80 პროცენტს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არავითარი საშუალება არ გააჩნია ივარჯიშოს.

ფიზიკურ აღზრდაში საშინაო დავალებათა მიცემის გზით მოსწავლეებს არ უნერგავენ ყოველდღიური და ინდივიდუალური ფიზიკური წრთობის უნარ-ჩვევებს, მძლეოსნურ სახეობებში პრაქტიკულად გადამოწმებული მე-9 კლასის 26 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ შეასრულა მშ სანორმატივო მოთხოვნები, ამავე დროს, გამოჩნდა მათი საერთო ფიზიკური მომზადების დაბალი დონე.

თბილისის 134-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის ხელმძღვანელობას, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს.

სკოლის დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დაუშვებელ გულგრილობასა და დაუდევრობას იჩენენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი. მათ სამუშაო გეგმაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ფიზკულტურის საგნის სწავლების საკითხები, გასულ და მიმდინარე წელს არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენიათ. მათი შენიშვნები არ არის შეტანილი არც ერთ საკლასო ჟურნალში. ამის შედეგია ფიზკულტურის საგანში მოსწავლეთა შეფასებაში დაშვებული სერიოზული დარღვევები. სისტემატურად არ ჯამდება მეოთხედური ნიშნები, უხეშად ირღვევა მათი გამოყვანის წესი. გასულ წელს 17 მოსწავლეს სრულიად უსაფუძვლოდ გადაუსწორეს ნიშანი. საკლასო ჟურნალებში აღრიცხული არ არის ყოველდღიური ნიშნები და დამუშავებული მასალის ჩანაწერები, ხოლო მე-10 კლასის საკლასო ჟურნალში ფიზკულტურის საგნის სწავლება საერთოდ გამორჩენილია.

ფიზიკური აღზრდისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა მოსწავლეთა საკმაო ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და ფიზიკური განვითარების ნორმიდან გადახრა. მიუხედავად ამისა, სკოლაში არ არსებობს სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეთა აღრიცხვა, სპეციალური სამედიცინო კონტროლი და გამოკვლევა, არ ხორციელდება ღონისძიებები ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

პედაგოგიური კოლექტივის დაუშვებელ გულგრილობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასკოლო სპორტული დარბაზი მოუვლელია, სპორტული ინვენტარი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს საპროგრამო მასალის გასავლელად. ინვენტარის ნაწილი ლია ცის ქვეშ ყრია, დამსხვრეული და გაპარტახებულია, სპორტული დარბაზების სათავსოები მოუწყობელი და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

სკოლაში, საერთოდ, არ უზრუნიათ მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობაზე რესპუბლიკური დათვალიერება--კონკურსის მოთხოვნათა შესასრულებლად მაშინ, როდესაც მარტოოდენ მოსწავლეთა ძალებით შეიძლება მოეწყოს საუკეთესო საფეხბურთო მინდორი, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები.

თბილისის 134-ე საშუალო სკოლის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე პასუხისმგებლობა, ამავე დროს, ეკისრებათ ქ. თბილისის განათლების განყოფილებას (ამხ. თ. ეგაძე, ამხ. ა. მაჭარაშვილი) და ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებას ამხ. რ. სურგულაძე), რომლებიც არ ახორციელებენ საჭირო ქმედითღონისძიებებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ეფექტურობისათვის, ჯეროვნად არ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის შესაბამის დადგენილებებს, არ აქვთ დაწესებული მათ შესრულებაზე მტკიცე კონტროლი.

ქ. თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სექტორის (ამხ. ა. გიორგობიანი) საქმიანობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია, ხასიათდება არაკომპეტენტურობით, ფორმალიზმითა და ზედაპირულობით. ქ. თბილისის სკოლებში არ არის დამყარებული წესრიგი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სასწავლო პროგრამის შესრულების საქმეში. ფიზკულტურის მასწავლებელთა დიდი ნაწილი მუშაობს ვალის მოხდის მიზნით, ჩაშლილია კლასგარეშე მუშაობა, ფაქტიურად სკოლის ცხოვრებიდან განდევნილია ორგანიზებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივის, ორჯონიკიძის რაიონისა და თბილისის განათლების განყოფილებების მუშაობაში არსებული

სერიოზული ნაკლოვანებანი მეტნაკლებად დამახასიათებელია რესპუბ-
ლიკის ზოგადსაგანათლებლო სკოლათა და განათლების სხვა ორგანოების
დიდი ნაწილისათვის, ჯერ კიდევ ვერ არმოიფხვრა ზერელობა, ბევრ
პედაგოგსა და განათლების სისტემის მუშაკს არ შეუვლია დამოკიდე-
ბულება ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი,
ნაკლები ანგარიში ეწევა იმას, რომ სასწავლო მუშაობით გადატვირ-
თვამ, ტექნიკისა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ, ეზოების
უკმარისობამ სკოლებთან და საცხოვრებელ ადგილებში გამოიწვია
ბავშვთა მასობრივი უმოძრაობა, რომელიც, თავის მხრივ, სერიოზულ
საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა ჯანმრთელობას. ბევრ სკოლაში ფიზ-
კულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც სწავ-
ლებისა და აღზრდის ერთიანი სისტემის ორგანული ნაწილი, მოსწავ-
ლეთა იდეურ-ზნეობრივი და ჰარმონიული აღზრდის, არასრულწლო-
ვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის გონივრული
და შინაარსიანი გართობისა და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოს
მომავალ დამცველთა ფიზიკური მომზადებისა და სრულყოფის დიდ-
მნიშვნელოვანი პირობა.

განათლების სამინისტროს კოლეგია აღგენს

1.—თბილისის 134-ე საშუალო სკოლის დირექციისა და პედა-
გოგიური კოლექტივის საქმიანობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის
თაობაზე სადირექტივო ორგანოების მოთხოვნათა შესასრულებლად
ჩაითვალოს სრულიად არადამაკმაყოფილებლად. სკოლის ხელმძღვანე-
ლობამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა უმოკლეს ვადაში გარდაქმნან
მუშაობა, აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული
ნაკლოვანებანი, ისე წარმართონ მუშაობა, რომ ფიზიკური აღზრდა და
სპორტი ემსახურებოდეს არა მარტო მოსწავლეთა ფიზიკურ სრულ-
ყოფას, ორგანიზმის ფუნქციონალურ შესაძლებლობათა განვითარე-
ბასა და მოძრაობის ჩვევების ჩამოყალიბებას, არამედ ზნეობრივი და
მორალური თვისებების, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, კოლექ-
ტივიზმის, მამაცობის, შეუპოვრობის, სიმტკიცის, მიზანსწრაფვის შეძ-
ენასა და აღზრდას;

—თბილისის 134-ე საშუალო სკოლის დირექტორი დ. გიორ-
გაძე, მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის იმსა-
ხურებს დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაგრამ

მხედველობაში იქნეს მიღებული მისი დიდი ხნის მუშაობა განათლების სისტემაში, რომ სკოლის პედკოლექტივის მუშაობაზე კონტროლი მან შეასუსტა ობიექტური მიზეზების გამო, ამასთან, შემოწმებულ იქნეს, რომ სკოლაში ფიზიკური აღზრდის გასაუმჯობესებლად განხორციელა კონკრეტული ღონისძიებანი, პირობით იქნეს დატოვებული სკოლის დირექტორის პოსტზე და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

—თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. რ. სურგულაძე, 134-ე საშუალო სკოლის მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის, რაიონის მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მკაცრად იქნეს გაფრთხილებული. მასვე დაევალოს განიხილოს 134-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეების შ. რაზმაძისა და ბ. თორაძის, ფიზკულტურის მასწავლებლების ნ. ცაავასა და ი. მხეიძის სუსტი მუშაობის საკითხი, მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რის შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს 1977 წლის 10 იანვრიმდე;

—მიღებულ იქნეს ცნობად თბილისის განათლების განყოფილეგამგის ამხ. ეგაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ქალაქის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სექტორის შემადგენლობა გადახალისდება კომპეტენტური, პრინციპული და მონდომებული მუშაკებით, რომ ქალაქის განათლების განყოფილება გაიკეთებს სათანადო დასკვნებს განათლების სამინისტროს კოლეგიაზე გამოთქმული მწვავე კრიტიკული შენიშვნებიდან;

—დაევალოს თბილისის განათლების განყოფილებას, ორი თვის განმავლობაში შეისწავლოს თბილისის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა და ქალაქის სასპორტო სკოლების მდგომარეობა. განიხილოს იგი სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, რომლის შედეგები, აგრეთვე ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, მოახსენოს განათლების სამინისტროს 1977 წლის მაისში.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის აო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესება, მათი ჯანმრთელობის განმტკიცება მიიჩნიონ უპირველეს ამოცანად, რომლის განხორციელებას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა ფიზიკური

აღზრდის მდგომარეობაზე ადგილობრივ სპორტკომიტეტებთან, კომკავშირისა და დოსაავის კომიტეტებთან, სპორტული საზოგადოებების საბჭოებთან, ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად საგანგებო შეისწავლონ და იმსჯელონ, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, უმოძრაობასთან დაკავშირებულ დაავადებათა პროფილაქტიკისათვის.

ამ პრობლემის გადაჭრისას ამოსავალ წერტილად იქნეს მიჩნეული არსებული ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებისა და საშუალებების მაქსიმალური, ეფექტური გამოყენება, რეზერვების გამონახვა და მათი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სამსახურში ჩაყენება;

განათლების ორგანოებმა ამ საკითხის შესწავლის შედეგები, კონკრეტული წინადადებები განსახილველად წარუდგინონ ადგილობრივ საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს;

განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა ამ დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე მოახსენონ განათლების სამინისტროს 1977 წლის 1 ოქტომბრისათვის.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

—უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დებულების განუხრელი განხორციელება, ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამის უცილობლად შესრულება. ამ მოთხოვნათა შეუფასებლობისა და შეუსრულებლობის ყოველ შემთხვევას მოსცენ პრინციპული შეფასება, განიხილონ იგი, როგორც სახელმწიფოებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა;

—უკლებლივ ყველა სკოლაში სავალდებულოდ დანერგონ დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზკულტურული წუთშესვენებები გაკვეთილებზე, თამაშობები და ფიზიკური ვარჯიშები შესვენებებზე და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის რეჟიმში;

—გადახედონ საგნობრივი წრეების განაწილებას სკოლებში იმ ვარაუდით, რომ იმ წრეების ხარჯზე, რომლებიც დაკავშირებულია უმოძრაობასთან და დამატებითი გონებრივ შრომასთან, შეიქმნას სპორტული წრეები და სექციები, მაქსიმალურად წაახალისონ მოსწავლეები, ამ სექციებში ჩაბმისათვის;

გააძლიერონ მუშაობა სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებთან; ხელმძღვანელობა სამსახურთან ერთად დააწესონ მტკიცე კონტროლი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, შექმნან სპეციალური სამედიცინო ჯგუფები, რომელთა მეცადინეობაზე დასწრება სავალდებულო გახადონ სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებისათვის. ამ საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ცირკულარული მითითებებით, რომელთა განხორციელებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ კლასის ხელმძღვანელებსა და ფიზკულტურის მასწავლებლებს, ხოლო კონტროლი—ექიმისა და დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის დარგში;

—შექმნან სკოლებში „ფიზკულტურულ-სპორტული კლიმატი", თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით, პირადი მაგალითით გაუღვივონ მოსწავლეებს ინტერესი ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი, ჩამოაყალიბონ მათში ფიზიკური ვარჯიშის მოთხოვნილება, რაც გახადონ მოსწავლის სკოლაში, სკოლისგარეთ და ოჯახში ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად ჩვევა-თვისებად. ამისათვის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ მშობლებში. მათი პირადი მაგალითი გამოიყენონ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სამსახურში. ამასთან დაკავშირებით, ყველა კლასში გულახდილობისა და პრინციპულობის ატმოსფეროში ჩაატარონ მშობელთა საგანგებო კრებები;

—უმოკლეს ვადაში წესრიგში მოიყვანონ ფიზკულტურის დარბაზები და სპორტული ბაზები, შეიძინონ დამატებითი სპორტინვენტარი, ამისათვის ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების დახმარება; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ საქმისათვის მოსწავლეთა ინიციატივას, მათ პირად მონაწილეობას მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობაში, მშობელთა აქტიურ დახმარებას მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი სკოლა არ დარჩეს კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, ბადმინტონის მარტივი მოედნების გარეშე;

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა; სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობა გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სისტემაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ყოველწლიურ შეჯამებისას;

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ

რ. აიწურაძე) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადინგინონ დასამტკიცებლად წინადადებანი ამ საკითხზე.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ და მისი დამატებების რედაქციებმა მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში სკოლების საქმიანობის დადებითი გამცდილების განსაზოგადებლად, ამასთან, სისტემატურად გამოაქვეყნონ პრობლემური, კრიტიკული ხასიათის წერილები, იბრძოლონ ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. რ. აიწურაძე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურისა და სპორტში საშეფო მუშაობის უზრუნველსაყოფად, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ, ჯანმრთელობისა და სხვა საზოგადოებრივ უწყებაორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშაოს ერთობლივი კომპლექსური ღონისძიებების გეგმა;

—ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდურ კაბინეტთან ერთად (ამხ. გ. მერკვილაძე) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და კოლეგიის სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აქტიური დასვენების ორგანიზაციის შესახებ;

—დააწესოს კონტროლი დადგენილების შესრულებაზე.

7. ჩატარდეს რესპუბლიკის განათლების სისტემის მუშაკთა აქტივის კრება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების საკითხზე 1977 წლის თებერვალში.

8. ეთხოვოთ საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტს განიხილონ საკითხი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისა და ბავშვთა სპორტის განვითარებაში ადგილობრივი სპორტკომიტეტებისა და სპორტული საზოგადობების უფრო ფართო მონაწილეობის, დახმარებისა და ხელისშეწყობის შესახებ.

9. ეს დადგენილება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულების პედაგოგიური საბჭოების, პედმეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე.

დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი ნ ი ს ტ რ ი ო. ჭინჭლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1976 წლის 25 ნოემბერი

რესპუბლიკის სანატორიული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკაში ფუნქციონირებს ტუბერკულოზის არააქტიური ფორმით დაავადებულ ბავშვთა 5 სანატორიული სკოლა-ინტერნატი და 2 სატყეო-სანატორიული სკოლა, წულუკიძის რაიონის გორდის (დირექტორი გ. გედენიძე), გეგეჭკორის რაიონის სალხინოს (დირექტორი ო. ხუჭუა), წალენჯიხის (დირექტორი ვ. ჩიქობავა), ხაშურის რაიონის ტაშისკარის (დირექტორი ნ. გრიგალაშვილი), ბორჯომის რაიონის ახალდაბის (დირექტორი თ. სირაძე) სანატორიულ სკოლა-ინტერნატებსა და ქობულეთისა და ბორჯომის რაიონის პატარა ცემის (დირექტორები გ. კვაჭაძე, შ. ტაბატაძე) სატყეო სანაატორიულ სკოლებში ყოველწლიურად სწავლებისაგან მოუწყვეტლად ჯანმრთელობას იკაჟებს 3000-მდე მოსწავლე.

სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სატყეო სკოლების დიდი უმრავლესობა მოთავსებულია ტიპიური პროექტებით აგებულ შენობათა კომპლექსებში რაც ბავშვთა სწავლა-აღზრდისა და მკურნალობის სანიმუშო პირობების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განათლების სამინისტროში დამატებითი ღონისძიებები განახორციელა ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში, როგორც სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობისა და

სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების, ისე მათი მატერიალური ბაზის გამტკიცების მიზნით. მიღებული ზომების შედეგად სანატორიულ სკოლა-ინტერნატებსა და სატყეო სკოლებში [illegible] ამაღლდა სწავლებისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ [illegible] ხარისხი, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებასა და ავადმყოფ ბავშვთა გაჯანსაღების საქმეს.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად რესპუბლიკის სანატორიულ სკოლა-ინტერნატებსა და სატყეო სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზა გააჩნია გორდის სანატორიულ სკოლა-ინტერნატს: მისი საძინებელი კორპუსი მოთავსებულია ორსართულიან შეგუებულ შენობაში, რომლის პირველ სართულზე სამზარეულო და სასადილოა მოთავსებული, ხოლო მეორე სართულზე გახლაგებულ საწოლ ოთახებში სივიწროვეა, რაც ძალზე აძნელებს სანიტ-ჰიგიური ნორმების დაცვას. სასწავლო კორპუსში ცენტრალური გათბობის გაყვანილობას უმოქმედობის გამო, საკლასო ოთახებში ზამთრობით არ ხერხდება მუდმივი ტემპერატურის დაცვა და იქმნება აღსაზრდელთა გაციებისა და დაავადების აშკარა საფრთხე. შეცვლასა და განახლებას საჭიროებს არსებული დგამ-ავეჯი.

ექსპლოატაციაში გადაცემიდან ერთი წლის შემდეგ, მწყობრიდან გამოვიდა ქობულეთის სატყეო სანატორიული სკოლის სპორტული დარბაზის იატაკი და უკვე ორი წელია არ ხერხდება დარბაზში სამკურნალო ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება.

პატარა ცემის სატყეო სკოლა-საატორიუმის პედაგოგებისა და მოსამსახურე პერსონალის შრომით საქმიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს მეტად ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები. მათი საცხოვრებელი სახლების დიდი უმრავლესობა მძლიანად ამორტიზებულია და შეცვლას საჭიროებს.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ავადმყოფი ბავშვებით სანატორიული სკოლა-ინტერნატების დაკომპლექტების საქმეს.

1976 წლის I ნოემბრის მონაცემებით, გორდის სკოლა-ინტერნატის 200 აღსაზრდელიდან, წულუკიძის რაიონიდანაა 89, მაშინ, როდესაც ტუბერკულოზის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით ამ რაიონში აღრიცხულია ტუბერკულიოზის

არააქტიური ფორმით დაავადებული 42 მოზარდი. ამავე პერიოდისათვის, სალხინოს სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულ 250 აღსაზრდელიდან, 163 სოფ. სალხინოს მკვიდრია. მთელს გეგეჭკორის რაიონში ტუბდისპანსერის მიერ აღრიცხვაზე აყვანილია 28 მოზარდი. ახლომდებარე რაიონებიდან კი, სადაც ტუბინსტიტუტის მონაცემებით აღრიცხვაზე იმყოფება ათობით სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლე, ამ დაწესებულებებში ჩარიცხულია მხოლოდ ითვალ-ოროლა აღსაზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1975-1976 და 1976-1977 სასწავლო წლების განმავლობაში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, სიღნაღის, გარდაბნის, ცაგერის, ადიგენის, ხობის, მცხეთის, საგარეჯოს, ცხაკაიასა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებებმა, ვერ შეძლეს უზრუნველეყოთ სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეთა სანატორიუმებში გაგზავნა და განათლების სამინისტროს უკან დაუბრუნეს ქობულეთისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმების აუთვისებელი საგზურები მიუხედავად იმისა, რომ აღსაზრდელთა შესაბამისი კონტინგენტი არცთუ მცირერიცხოვანი იყო.

აღნიშნული ფაქტები ნათლად მიუთითებენ, რომ მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების 'განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა როგორც ღრმა სამედიცინო შემოწმებისა და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებისათვის ადგილებზე სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, ისე მათ სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში გაგზავნის საქმეს. ამგვარი დამოკიდებულების შედეგად სანატორიული სკოლა-ინტერნატები, განსაკუთრებით კი ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლები, ვერ ასრულებენ კონტინგენტის გეგმებს.

კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზების გარკვევისას მხედველობაშია მისაღებია ისიც, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ამ ბოლო წლებში, რესპუბლიკაში მკვეთრად იკლო ტუბერკულოზურ დაავადებათა შემთხვევებმა. ეს უკანასკნელი გარემოება კი აუცილებელს ხდის ამჟამად არსებული ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა-ინტერნატების მოქმედი ქსელი გადასინჯვასა და მათ ბაზაზე სხვა დაავადებების მქონე ბავშვთა

სასწავლო-გამაჯანსაღებელი დაწესებულების გახსნის შესაძლებლობათა დადგენას.

სერიოზული ნაკლოვანებებია სანატორიულ დაწესებულებებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მხრივ, რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სათანადო ზედამხედველობა აია აქვთ დაწესებული სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სანატორიული სატყეო სკოლების სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე. ნაშუთისა და ბორჯომის რაიონების ტუბდისპანსერები თავიანთ დახმარებას ტაშისკარისა და ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატებისადმი ძლიერ ბავშვთა კონტინგენტის შესარჩევ კომისიებში მონაწილეობით შემოფარგლავენ. არ ეხმაურებიან მათ მკურნალობის სწორ ორგანიზაციაში, ბავშვთა ღრმა გამოკვლევების, აცრების, სხვადასხვა სახის ანალიზების ჩატარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით უყურადღებოდ არის მიტოვებული ბორჯომის რაიონში მდებარე პატარა ცემის სანატორიული სატყეო სკოლა. სანატორიულ სკოლა-ინტერნატებსა და სანატორიულ სატყეო სკოლებში სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ თითქმის არც ერთი ეს დაწესებულება სრულად არ არის დაკომპლექტებული კვალიფიციური სამედიცინო კადრებით. ახალდაბის სკოლა-ინტერნატში სამი ექიმის ნაცვლად მუშაობს ერთი, პატარა ცემში კი საერთოდ არა ჰყავთ ექიმი. ვაკანტურია ექიმის საშტატო ერთეული ქობულეთის სატყეო სკოლაშიც.

სამედიცინო ზედამხედველობის შესუსტებასთან ერთად, სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში უხეშად იღღვევა ბავშვთა მიღება-ჩარიცხვის წესები. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის დირექციამ, კონტინგენტის გეგმის შესრულების მიზნით, ინტერნატში ჩაირიცხა სახლიდან მოსიარულე 19 აღსაზრდელი. ანალოგიური ფაქტები აღინიშნა ახალდაბაშიც.

გადასინჯვას საჭიროებს აგრეთვე სანატორიულ სკოლა-ინტერნატებსა და სანატორიულ სატყეო სკოლებში გამაჯანსაღებელ ღონისძიებებისათვის ყველაზე საუკეთესო-ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგების დროს აღსაზრდელთა სახლში დათხოვნის პრაქტიკა. დაუშვებელია აგრეთვე ზაფხულობით ამ დაწესებულებათა ბაზაზე ჯანსაღ ბავშვთათვის პიონერული და სპორტული ბანაკების მოწყობაც.

ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები არარეგულარულად ამარაგებენ სანატორიულ დაწესებულებებს ახალი რძით, ხილით, ბოსტნეულით. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ნოემბრამდე წალენჯიხის რაიკავშირს სანატორიული სკოლა-ინტერნატისათვის არ მოუწოდებია კვერცხი, ფრინველის ხორცი, კომბოსტო. ასეთი მდგომარეობა მკვეთრად აუარესებს კერძების ხარისხსა და, რაც მთავარია, შეუძლებელს ხდის მენიუს მონაცვლეობასა და მის გამრავალფეროვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სანატორიული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების კოლეგიები ადგენენ:

1. სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სანატორიული სატყეო სკოლების დირექტორებმა:

—ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად სანატორიულ დაწესებულებებში სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის სისტემატური კონტროლი დააწესონ სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე და უზრუნველყონ დებულებით გათვალისწინებული ყველა სამკურნალო პროცედურის შესრულება;

—მკაცრად დაიცვან სანატორიულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა მიღება-ჩარიცხვის დებულებით გათვალისწინებული წესები გადაჭრით აღკვეთონ ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ დარღვევები;

—მიიღონ ზომები სანატორიული დაწესებულებების ასორტიმენტით გათვალისწინებული პროდუქტებით უზრუნველყოფისა და აღსაზრდელთა კვების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მიაღწიონ, რომ თითეული აღსაზრდელი ზუსტად ღებულობდეს დღიური ნორმით განსაზღვრულ ულუფას.

2. რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგებმა:

—გადამჭრელი ზომები მიიღონ ტუბერკულოზის არააქტიური ფორმით დაავადებულ ბავშვთა გამოვლინების, აღრიცხვისა და სანატორიულ დაწესებულებებში მათი გეგმაზომიერი ჩარიცხვისთვის;

—სასწავლო წლის ყოველი მეოთხედის დაწყებამდე ერთი თვით ადრე სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს წარმოუდგინონ განცხადები ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო-

სანატორიულ სკოლებში ჩასარიცხ ბავშვებზე (ასაკის, სწავლების ენისა და კლასების ჩვენებით).

3. ბორჯომის, ქობულეთის, წულუკიძის, გეგეჭკორის, ხაშურისა და წალენჯიხის რაიონების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეებმა დააწესონ კონტროლი და საჭირო დახმარება გაუწიონ მათს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სანატორიულ სკოლა-ინტერნატებისა და სანატორიულ სატყეო სკოლებს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების სწორი ორგანიზაციის საქმეში.

4. კატეგორიულად აიკრძალოს ზაფხულის არდადეგების დროს ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა ინტერნატების ბაზაზე ჯანმრთელი ბავშვებისათვის პიონერული და სპორტული ბანაკების მოწყობა. ზემოხსენებულის შესახებ ეცნობის საქართველოს სსრ პროფსაბჭოს.

5. დაევალოს ტუბერკულოზის რესპუბლიკურ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, გაუწიოს სისტემატური კონსულტაციები და აღმოუჩინოს პრაქტიკული დახმარება სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სატყეო სკოლების სამედიცინო პერსონალს ბავშვთა მკურნალობის საქმეში.

6. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარებისა და განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა (ტ. შარაშიძე. თ. ნიკოლაიშვილი):

—დააზუსტონ რესპუბლიკაში სხვადასხვა დაავადებათა მქონე ბავშვთა კონტინგენტი და 1977 წლის 1 აპრილისათვის წარმოადგინონ წინადადებები ერთ-ერთი ტუბერკულოზური სანატორიული სკოლა-ინტერნატის სხვა ტიპის სანატორიულ სკოლა-ინტერნატად გადაკეთების შესახებ.

—მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე შეისწავლონ სანატორიული სატყეო სკოლებისა და სანატორიული სკოლა-ინტერნატების ბაზაზე ზამთრის, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების დროს ტუბერკულოზის არააქტიური ფორმით დაავადებულ ბავშვთათვის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გახანგრძლივების შესაძლებლობის საკითხი და წარმოადგინონ შესაბამისი წინადადებები.

7. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებების სამმართველომ (ზ. ჩიქოვანი) მიიღოს საჭირო

ზომები რესპუბლიკის სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სანატორიული სატყეო სკოლების კვალიფიციური სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ნ. ნაცვლიშვილი) უახლოესი ორი თვის ვადაში შეისწავლოს სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სატყეო სკოლების მატერიალური ბაზის მდგომარეობა და მიიღოს ზომები ამ დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის.

9. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (გ. კბილაშვილი) წარმოდგენილი განაცხადების მიხედვით, უზრუნველყოს სანატორიული ტიპის სასწავლო დაწესებულებები რბილი და მაგარი ინვენტარით, სასწავლო ნივთებით, დიდაქტიკური თვალსაჩინოებით, ხელსაწყო-იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

10. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე რესპუბლიკის სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სატყეო სკოლებისათვის მე-10 ხუთწლედში 7 ავტობუსის გამოყოფის შესახებ.

11. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირს, საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ, რათა ადგილობრივმა სავაჭრო ორგანიზაციებმა შეუფერხებლად მოამარაგონ სანატორიული სასწავლო დაწესებულებები ასორტიმენტით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით.

12. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაეწესონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებისა და განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა.

საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი **ო. ქინქლაძე**	საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მ ი ნ ი ს ტ რ ი **ი. ზედგენიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 25 ნოემბრის ერთობლივი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 24/ნ

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის—„ყოველ ახალგაზრდა ბშრომელს საშუალო განათლება"—პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერების ჩატარების შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 14 ოქტომბრის № 23/14—88/24 ერთობლივი დადგენილების შესაბამისად, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილების შესრულებიდან მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო დონის შემდგომი ამაღლების პროგრამის განხორციელებაში პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და განათლების ორგანოების მუშაობის აქტივიზაციის მიზნით, აგრეთვე საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის,—საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია

ა დ გ ე ნ ე ნ:

1976—1980 წლებში ჩატარდეს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისა-

თვის—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება“—პროფკავშირულ, კომკავშირულ და განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს დათვალიერების ჩატარების დებულება (დანართი № 1) და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 2).

3. დაევალოთ საქართველოს სსრ პროფკავშირების საოლქო, საქალაქო, რაიონულ ორგანოებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო. რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანოებს, უზრუნველყონ წარმოება-დაწესებულებების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროფკავშირული კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო სკოლების აქტიური მონაწილეობა დათვალიერებაში.

4. პროფკავშირების საბჭოებმა და კომიტეტებმა, კომკავშირის კომიტეტებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა დათვალიერების პერიოდში მოაწყონ კოლექტივებში და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა სახალხო განათლების საკითხებზე, გამოუმუშაონ ახალგაზრდებს მისწრაფება ცოდნის დაუფლებისადმი, კულტურული დონის ამაღლებისადმი, მიაღწიონ იმას, რომ დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემუშავებული იყოს მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების პერსპექტიული გეგმები, ფართოდ იქნეს გამოყენებული მორალური და მატერიალური სტიმულირება იმ ახალგაზრდა მშრომელებისათვის, ვინც წარმატებით ათავსებს მუშაობას სწავლასთან.

5. დადგინდეს, რომ დათვალიერების შედეგები რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შეჯამდეს ყოველი წლის დეკემბერში. პროფკავშირული, კომკავშირული, საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანოების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

6. დათვალიერებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია 3 გარდამავალი წითელი დროშა, 20 ვიმპელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს პროფსაბჭოს დიპლომები.

7. პროფკავშირული და კომკავშირული ჟურნალ-გაზეთების— „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“, რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციებმა პროპაგანდა გაუწიონ დათვალიერებას, სისტემატურად და ღრმად გააშუქონ მოწინავე პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობის გამოცდილება მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში, მკაფიოდ და დამაჯერებლად უჩვენონ საშუალო განათლების მიღების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ო. მოსაშვილი**	საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი **ჟ. შარტავა**	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 1
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 25 ნოემბრის ერთობლივი
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი ს ა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება"—პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერების ჩატარების შესახებ

პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერება სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება" — ტარდება საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ განათლების სამინისტროს მიერ 1976 წლიდან 1980 წლამდე.

დათვალიერებაში მონაწილეობენ ყველა წარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფკავშირის საოლქო საბჭოები და კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო, საოლქო განყოფილებები, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაკომპლექტების გეგმების შესრულება, მოსწავლეებზე დასწრების უზრუნველყოფა და მოსწავლეთა კონტინგენტის მაქსიმალურად შენარჩუნება;

ახალგაზრდებს შორის ცოდნის პროპაგანდის გაძლიერება, ახალგაზრდა მშრომელთა წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლებაში ჩაბმისათვის საზოგადოებრიობის და სახალხო განათლების ორგანოების ერთობლივი მუშაობის ფორმების და მეთოდების სრულყოფა.

საღამოს (ცვლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლება;

საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის, აგრეთვე ფორმების და მეცადინეობის რეჟიმების შემდგომი განვითარება, რომლებიც შრომის პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ სხვადასხვა კატეგორიის მომუშავე ახალგაზრდობისა და პროფტექნიკუმი სასწავლებლების მოსწავლეების მოთხოვნილებებს ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებაში;

წარმოებაში და ყოფა-ცხოვრებაში საჭირო პირობების შექმნა მომუშავე ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების დასრულებისათვის, მოსწავლეებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობაზე კონტროლი.

საღამოს (ცვლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი კოლექტივების განმტკიცება. საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების, უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციის საღამოს სკოლების მოსწავლეებზე შეფობის განვითარება.

საღამოს (ცვლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კადრების იდეური და სამეცნიერო-მეთოდური დონის ამაღლება, ამ მუშაობაში მეცნიერების. საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების, სამეურნეო ხელმძღვანელების მიზიდვა;

წარმოებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემის მიზანშეწონილი შეხამება მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებასთან;

საღამოს (ცვლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, კაბინეტ-ლაბორატორიების თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვა, სკოლების სწავლების ბინეტურ სისტემაზე გადაყვანის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების ხელმძღვანელობა

დათვალიერების ხელმძღვანელობას ახორციელებენ:

რესპუბლიკური პროფსაბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

დათვალიერების ჩატარებისათვის პრაქტიკულ მუშაობას ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომიტეტი, ადგილებზე კი—საოლქო, საქალაქო, რაიონული, საორგანიზაციო კომიტეტი და წარმოება-დაწესებულებებში შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტები.

დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებთან სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით დარგის მასშტაბებით ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ორგანიზაციის კოორდინირებისა და საწარმოებზე, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და ორგანოებზე დახმარების გასაწევად შეიძლება შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტები გამოიმუშავებენ და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს დათვალიერების ჩატარებისათვის, ისმენენ სათანადო პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების ცნობების დათვალიერების მსვლელობის შესახებ, სწავლობენ მათი მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების საღამოსა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩაბმის საქმეში.

დათვალიერების შედეგების შეჯამება

დათვალიერების შედეგები ჯამდება ყოველწლიურად: წარმოებებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში—სექტემბერ-ოქტომბერში; რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქსა და ასს რესპუბლიკებში—ნოემბერში, საქ. სს რესპუბლიკაში—დეკემბერში.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს დათვალიერების შედეგებს, იხილავს წინადადებებს წარმოებების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საღამოს (ცვლითი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საუკეთესო კოლექტივების წახალისების შესახებ და უდგენს საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტს საქართველოს რესპუბლიკურ პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მასალებს დათვალიერების შედეგების შესახებ არაუგვიანეს 20 იანვრისა,

დათვალიერებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება

დათვალიერებაში დაჯილდოებული პროფკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირის რაიონული, საოლქო, საქალაქო კომიტეტების, განათლების რაიონული საქალაქო და საოლქო ორგანოებისათვის ასსრ განათლების სამინისტროებისათვის დაწესებულია საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 3 გარდამავალი წითელი დროშა.

საორგანიზაციო კომიტეტი გარდამავალ წითელ დროშებს ანიჭებს ყოველწლიურად, დათვალიერების საბოლოო შედეგების დაჯამების შემდეგ თუ წითელი დროშა გამარჯვებულმა მოიპოვა არა ნაკლებ 3-ჯერ, დროშა მათ გადაეცემათ მუდმივ შესანახად.

დათვალაერებაში გამარჯვებული საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისათვის დაწესებულია საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ვიმპელები და დიპლომები. საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, რომლებიც მიაღწევენ საუკეთესო შედეგებს დათვალიერებაში, ყოველწლიურად ჯილდოვდებიან დიპლომებით, დათვალიერების შედეგების საბოლოო დაჯამებისას გამარჯვებულებს გადაეცემათ საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ვიმპელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, რომლებმაც მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს დათვალიერებაში, დაწესებულია საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომები, რომელთაც საორგანიზაციო კომიტეტი ყოველწლიურად აჯილდოებს გამარჯვებულებს.

პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები, სამეურნეო ხელმძღვანელები, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკები, მასწავლებლები, რომლებიც თავს გამოიჩენენ დათვალიერების მსვლელობის დროს, ჯილდოვდებიან საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით.

დათვალიერებაში გამარჯვებულნი—წარმოებები, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, მომსახურეობის სფეროს, დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები, პროფკავშირების კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები—ყოველწლიურად ჯილდოვდებიან საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ განათლების სამინისტროს დიპლომებით.

დათვალიერებაში გამარჯვებულნი—ალამოს (ცვლიანი) საშუალო და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ყოველწლიურად ჯილდოვდებიან საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ განათლების სამინისტროს დიპლომებით, დათვალიერების ხუთი წლის შედეგების შეჯამების დროს სკოლების კოლექტივები, რომლებმაც მიაღწიეს ყველაზე მაღალ შედეგებს ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებაში და დათვალიერების მსვლელობაში დაჯილდოებულნი იქნებიან დიპლომით, ჯილდოვდებიან სასწავლო მოწყობილობის კომპლექტებით ღირებულებით 1000 მანეთი თითოეული.

პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები, სამეურნეო ხელმძღვანელები, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკები; მასწავლებლები, რომლებმაც გამოიჩინეს თავი დათვალიერებაში, საჯანადო პროფკავშირული, კომკავშირული, სახალხო განათლების ორ-

განოების წარდგინებით ჯილდოვებიან დადგენილი წესით საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნით—„პროფკავშირებში აქტიური მუშაობისათვის“ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნით—„კომკავშირში აქტიური მუშაობისათვის“, სსრკ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნით—„სსრკ სახალხო განათლების წარჩინებული“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ყ ვ ა რ თ ი № 2
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 25 ნოემბრის ერთობლივი
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი ს ა

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება"—პროფკავშირული კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერების ჩატარების შესახებ

საორგანიზაციო კომიტეტი

ზ. კვაჭაძე—პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

2. გ. ფაჩუაშვილი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

3. უშ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები

1. დ. იოსელიანი—განათლების, უმაღლესი სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

2. გ. გუჯეჯიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსი;

3. რ. ღარიბაშვილი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე;

4. ს. ხოშტარია—საქართველოს პროფსაბჭოს კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე;

5. ვ. სიმონიშვილი—გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის სასკოლო განყოფილების გამგე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ა. არჩვაძე—ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი;

7. ე. ჩიჩუა—ქ. თბილისის № 28 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი;

8. მ. ბურჭულაძე—ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საღამოს სკოლების სექციის გმგე;

9. ნ. ოქროპირიძე—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე;

10. ო. დადუნაშვილი—საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კულტურის განყოფილების უფროსი;

11. ვ. ზაალიშვილი—ქ. თბილისის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი;

12. შ. ლომიძე—დიმიტროვის სახელობის ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОВМЕСТНОЕ ПОСТАНОВЛЕНИЕ

ГРУЗИНСКОГО РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ, БЮРО ЦК ВЛКСМ ГРУЗИИ И КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР № 24/5

от 25/XI 1976 г. г. Тбилиси

О проведении смотра работы профсоюзных, комсомольских организации, органов народного образования по повышению общеобразовательного уровня молодежи, занятой в народном хозяйстве,—„Каждому молодому труженику—среднее образование“

Согласно постановлению Секретариата ВЦСПС, Секретариата ЦК ВЛКСМ, Коллегии Министерства просвещения СССР от 14 октября 1976 года Э 23 (С—88) 24, в целях активизации работы профсоюзных и комсомольских организации, органов народного образования по осуществлению намеченной XXV съездом КПСС программы дальнейшего повышения общеобразовательного уровня трудящихся, а также улучшения работы вечерних (сменных) и заочных средних школ, Президиум Совпрофа Грузии, Бюро ЦК ВЛКСМ Грузии, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР

П о с т а н о в л я ю т:

1. Провести в 1976—1980 годах смотр работы профсоюзных, комсомольских организации, органов народного образования по повышению общеобразовательного уровня

молодежи, занятой в народном хозяйстве,—„Каждому молодому труженику—среднее образование“.

2. Утвердить Положение о смотре (приложение № 1) и состав Оргкомитета по его проведению (приложение № 2).

3. Областным, городским и районным органам профсоюзов, Грузинской ССР, обкомам, горкомам и районам ЛКСМ Грузии, Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР. Заведующим Юго-Осетинским областним, городскими и районными отделами народного образования—обеспечить активное участие в смотре профсоюзных, комсомольских организаций и хозяйственных руководителей предприятий промышленности, транспорта, строительства, связи, сферы обслуживания, учреждений, колхозов и совхозов, коллективов вечерних (сменных) и заочных средних школ.

4. Советам и комитетам профсоюзов, комитетам комсомола, органам народного образования в период смотра организовать в коллективах и по месту жительства трудящихся широкую пропаганду решений Коммунистической партии и Советского правительства по вопросам народного образования, настойчиво формировать у молодежи стремление к овладению знаниями, культурному росту; добиться, чтобы на предприятиях, в колхозах и совхозах были разработаны перспективные планы повышения общеобразовательного уровня работающей молодежи, шире применять моральные и материальные стимулы для поощрения молодых тружеников, успешно сочетающих работу с учебой.

5. Установить, что итоги смотра подводятся Республиканским Оргкомитетом ежегодно в декабре, на основе материалов, представленных советами профсоюзов, обкомами, горкомами, райкомами комсомола, Министерствами просвещения Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинским областным, городскими и районными отделами народного образования.

6. Для присуждения победителям смотра учреждается три переходящих Красных знамени, 20 вымпелов, дипломы Цк ЛКСМ Грузии, Министерства просвещения Грузинской ССР и Совпрофа Грузии.

7. Редакциям профсоюзных и комсомольских газет и журналов, газет „Сахалхо ганатлеба“, „Ахалгазрда коммунисти“ и „Молодежь Грузии“, молодежным редакциям радио и телевидения широко пропагандировать смотр, систематически и глубоко раскривать лучший опыт работы профсоюзных, комсомольских организаций, органов народного образования и школ по повышению общеобразовательного уровня молодежи, занятой в народном хозяйстве, ярко и убедительно показывать политическую, экономическую и социальную важность получения молодежю среднего образования

Председатель Совпрофа Грузии Т. МОСАШВИЛИ	Первый секретарь ЦК ЛКСМ Грузии Ж. ШАРТАВА	Министр просвещения Грузинской ССР О. КИНКЛАДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Приложение № 1
К постановления Президиума Грузинского
республиканского Совета профсоюзов,
Бюро ЦК ЛКСМ Грузии, Колегии
Министерства просвещения ГССЬ
от 25/X-1976 г.

ПОЛОЖЕНИЕ

смотра работы профсоюзных, комсомольских организаций, органов народного образования по повышению общеобразовательного уровня молодежи, занятой в народном хозяйстве,—„Каждому молодому труженику—среднее образование“

Смотр работы профсоюзных, комсомольских организаций, органов народного образования по повышению общеобразовательного уровня молодежи, занятой в народном хозяйстве,—„Каждому труженику—среднее образование“ проводится ВЦСПС, ЦК ВЛКСМ и Министерством просвещения СССР в период с 1976 года по 1980 год.

В смотре участвуют все профсоюзные и комсомольские организаций предприятии промышленности, транспорта, строительства, связи, сферы обслуживания, учреждений, колхозов, совхозов, вечерние (сменные) и заочные общеобразовательные школы, областные советы и комитеты профсоюзов, министерства и ведомства, районные, городские, областные комитеты комсомола, районные, городские, областной отделы народного образования, министерства просвещения автономных республик.

ЗАДАЧИ СМОТРА

Выполнение плана комплектования вечерних (сменных) и заочных общеобразовательных школ, обеспечение посещаемости занятий и максимальное сохранение контингента учащихся;

Усиление пропаганды знаний среди молодежи, совершенствование форм и методов совместной работы общественности и органов народного образования по привлечению молодых тружеников к учебе без отрыва от производства;

Совершенствование учебно-воспитательной работы вечерних (сменных) общеобразовательных школ, направленной на обеспечение единства идейно-политического, трудового и нравственного воспитания, повышение качества знаний учащихся;

Дальнейшее развитие сети вечерних (сменных) и заочных общеобразовательных школ, а также форм и режимов занятий, обеспечивающих с учетом условий труда потребности различных категорий работающей молодежи и учащихся профессионально-технических училищ в повышении общеобразовательного уровня.

Создание на производстве и в быту необходимых условий для завершения среднего образования работающей молодежью, контроль за предоставлением учащимся льгот, установленных законодательством;

укрепление связей вечерних (сменных) общеобразовательных школ с трудовыми коллективами; развитие шефства инженерно-технических работников, студентов вузов, городской и сельской интелигенции над учащимися вечерних школ;

Привлечение к этой работе ученых, инженерно-технических работников, хозяйственных руководителей;

Целеобразное совмещение действующей на предприятиях, в колхозах и совхозах системы повышения квалификации с организацией общеобразовательной подготовки учащихся;

Укрепление учебно-материальной базы вечерних (сменных) общеобразовательных школ, отнещение лабораторий и учебных кабинетов современным оборудованием, учебными пособиями, обеспечение перевода школ на кабинетную систему преподавания.

РУКОВОДСТВО СМОТРОМ

Руководство смотром осуществляют республиканский совет профсоюзов, ЦК ЛКСМ Грузии, Миниртерство просвещения Грузинской ССР.

Практической работой по проведению смотра руководит Оргкомитет, а на местах—областные, городские, районные оргкомитеты на предприятиях и в учреждениях. При республиканском комитете профсоюзов, с участием представителей министерств и ведомств, также могут создаваться оргкомитеты для координации работы по организации общеобразовательной подготовки молодежи в масштабе отрасли и оказания помощи предприятиям, колхозам, организациям.

Оргкомитеты разрабатывают и осуществляют конкретные мереприятия по проведению смотра, заслушивают сообщения соответствующих профсоюзных, комсомвльских организаций, органов народного образования, школ в ходе смотра, изучают лучший опыт их работы по вовлечению молодых рабочих, колхозников служащих в вечерние и заочные общеобразовательные школы.

ПОДВЕДЕНИЕ ИТОГОВ СМОТРА

Итоги смотра подводятся ежегодно: на предприятиях, в учреждениях, колхозах и совхозах—в сентябре-октябре; в районах, городах, в автономной области и автономных республиках—в ноябре, а в республике—в декабре. Республиканский оргкомитет подводит итоги смотра, рассматривает предложения о поощрении лучших коллективов предприятий, учрждений, совхозов, колхохов, вечерних (сменных) общеобразовательных школ,

представляет Всесоюзному Оргкомитету материалы об итогах смотра, утвержденные совместными постановлениями Президиума, совпрофа Грузии, бюро ЦК ЛКСМ Грузии и Коллегией Министерства просвещения Грузии не позднее 20-го января.

НАГРАЖДЕНИЕ ПОБЕДИТЕЛЕЙ СМОТРА

Для награждения победителей смотра-профсоюзных организаций горкомов, райкомов, обкомов комсомола, городских, районных, областных отделов народного образования—учреждается 3 переходящих Красных знамени Совпрофа Грузии, ЦК ЛКСМ Грузии, Министерства просвещения Грузинской ССР.

Переходящие Красные знамена присуждаются оргкомитетом ежегодно. При окончательном подведении итогов смотра Красные знамена вручаются победителям смотра, завовавщим их не менее трех раз, на вечное хранение.

Для победителей смотра—коллективов предприятий промышленности, транспорта, связи, стоительных организаций, колхозов и совхозов устанавливаются вымпелы и дипломы Совпрофа Грузии, ЦК ЛКСМ Грузии, Министерства просвещения ГССР, Коллективы предприятий промышленности, транспврта, связи, строительных организаций, колхозов и совхозов, добившиеся лучших результатов в ходе смотра, ежегодно награждаются дипломами, а при окончательном подведении итогов смотра победителям вручаются вымпемы Совпрофа Грузии, ЦК ЛКСМ Грузии, Министнрства просвешения ГССР.

Для награждения коллективов вечерних (сменных) средних общеобразовятельних школ, добившихся лучших показателей в смотре, устанавливаются дипломы Совпрофа Грузии, ЦК ЛКСМ Грузии, Министерства просвещения ГССР, которым награждаются победители смотра Оргкомитетом ежегодно.

Профсоюзные и комсомольские активисты, хозяйственные руководители, работники органов народного образования, учителя, наиболее отличившиеся в ходе смотра, по представлению городских, районных, областных оргкомитетов награждаются Почетными грамотами Совпрофа Грузии, ЦК ЛКСМ Грузии, Министерства просвещения ГССР нагрудными значками Министерства просвещения ГССР—„Отличник просвещения ГССР".

Победители смотра—коллективы предприятий промышленности, транспорта, связи, строительства, сферы обслуживания, учреждений, колхозов и совхозов, центральные комитеты профсоюзов, министерства и ведомства—награждаются ежегодно Дипломами ВЦСПС, ЦК ВЛКСМ, Министерства просвещения СССР.

Победители смотра—коллективы вечерных (сменных) средних и заочных общеобразовательных школ—награждаются ежегодно Дипломами ВЦСПС, ЦК ВЛКСМ, Министерства просвещения СССР. При подведении итогов смотра за пятилетие коллектива школ, добывшегося наиболее высоких результатов в общеобразовательной подготовке молодежи и награжденные в ходе смотра Дипломом, награждаются комплектами учебного оборудования на сумму 1000 рублей каждый.

Профсоюзные и комсомольские активисты, хозяйственные руководители, работники органов народного образования, учителя, наиболее отличившиеся в ходе смотра, по представлению соответствующих профсоюзных, комсомольских органов, органов народного образования награждаются в установленном порядке Почетной грамотой ВЦСПС, нагрудным знаком „За активную работу в профсоюзах", Почетной граматой ЦК ВЛКСМ, значком ЦК ВЛКСМ „За активную работу в комсомоле", Почетной грамотой Министерства просвещения СССР, значком „Отличник просвещения СССР".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Приложение № 2
К совместному постановлению Грузинского
республиканского Совета профсоюзов
Бюро ЦК ЛКСМ Грузии и Коллегия
Министерства просвещения ГССР
от 25/XI-1976 г.

ОРГКОМИТЕТ

по проведению смотра работы профсоюзных, комсомольских организаций и органов народного образования по повышению общеобразовательного уровня молодежи, занятой в народном хозяйстве—„Каждому молодому труженику—среднее образование"

1. З. Квачадзе—Секретарь Совпрофа Грузии, председатель Оргкомитета;

2. Н. Пачуашвили—Секретарь ЦК ЛКСМ Грузии—заместитель председателя Оргомитета;

3. Уш. Оболадзе—Заместитель министра просвещения ГССР, заместитель председателя Оргкомитета.

Члены Оргкомитета:

4. Д. Иоселиани—председатель ЦК профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений;

5. Г. Гуджеджиани—начальник Управления вечерних и заочных школ Минпроса Грузинской ССР.

6. Р. Гарибашвили—заведующий отделом школьной молодежи ЦК ЛКСМ Грузии;

7. С. Хоштария—Заведующий культурно-массовым отделом Совпрофа Грузии;

8. В. Симонишвили—Заведующий школьным отделом редакции газеты „Сахалхо ганатлеба";

9. А. Арчвадзе—Директор Тбилисской республиканской заочной средней школы;

10. Э. Чичуа—Директор Тбилисской вечерней средней школы № 28;

11. М. Бурчуладзе—заведующая сектором вечерних школ научно-исследовательского института педагогики им. Я. Гогебашвили;

12. Н. Окропиридзе—Начальник отдела культуры и просвещения Госплана ГССР;

13. О. Дадунашвили—Начальник отдела культуры ЦСУ Грузинской ССР;

14. В. Заалишвили—Руководитель группы методистов вечерних и заочных школ г. Тбилиси;

15. Ш. Ломидзе—Председатель комитета профсоюза завода им. Димитрова.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 24 დეკემბრის ბრძანება № 1165

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, უკვე შეუძლებელია მთავარი იმედი დაამყარო გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე და რომ აუცილებელია მოსწავლეებს ჩავუნერგოთ ცოდნის დამოუკიდებლად შევსების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი, რისთვისაც სწავლების მეთოდები უნდა შევუსაბამოთ ცხოვრების მოთხოვნებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია პედაგოგიურ პრაქტიკაში განმავითარებელი სწავლების საყოველთაო დამკვიდრებისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების სრულყოფასთან. ეს შესაძლებელია სასწავლო მასალის ათვისებაში მოსწავლეთა ცნობიერი ჩაბმით, მასში შეგნებული აქტივობის. დამოუკიდებელი კვლევისა და ძიების მყარი უნარ-ჩვევების აღზრდის, მიმდინარე და მეთოხედური შემოწმება-შეფასების, აგრეთვე გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების დროს ისეთი საკითხების დასმით, როცა წინა პლანზეა წამოწეული კითხვები—„რატომ?", „რამ განაპირობა?", „რით აიხსნება"?, „დაასაბუთეთ" და ა. შემდეგ, რაც მოითხოვს პროგრამული მასალის შინაარსის არა პასიურ გადმოცემას, მექანიკურ თხრობას, მოყოლას, და, მაშასადამე, მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ფაქტების ცოდნას, არამედ აქტიურ მსჯელობას, ანალიზს, დამოუკიდებელ ლოგიკურ აზროვნებას, ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარებას.

ამის მიღწევა შესაძლებელია განმავითარებელი სწავლების პირობებში, როცა სასწავლო ამოცანის გადაწყვეტაში მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ და გაკვეთილებზე პრობლემური სიტუაცია იქმნება, რაც ამაღლებს მათ შემეცნებით აქტივობას, აცხოველებს ინტერესს შესასწავლი მასალისადმი და უზრუნველყოფს პედაგოგიური პროცესის ეფექტურობას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება განმავითარებელი სწავლების მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი გაკვეთილისათვის თითოეული მასწავლებლის მომზადება და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემებისათვის შესაბამისი კითხვების დამუშავება.

სასწავლო მუშაობით გადატვირთვასთან დაკავშირებული მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებით არის შეპირობებული ფიზიკური აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესების აუცილებლობა, სკოლასა და სკოლის გარეთ ფიზიკური კულტურის დანერგვა, აგრეთვე დისციპლინისა და წერიგის განმტკიცება პედაგოგიურ კოლექტივებსა და მოსწავლეთა შორის.

რესპუბლიკის სკოლების დირექტორებისა და სახალხო განათლების მუშაკთა, საოლქო, საქალაქო და ზონალური თათბირების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე სწავლების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ წინადადებას,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველოებმა განმავითარებელი სწავლების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყონ ბილეთების გადამუშავება გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის, მათი დროულად გამოცემა და ადგილებზე დაგზავნა.

2. დაწესდეს, რომ ემზადებარა მორიგი გაკვეთილისათვის, თითოეული მასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებული ყოველი ცალკე თემისათვის, განმავითარებელი სწავლების მოთხოვნათა შესაბამისად, ამზადებს სულ ცოტა 10—16 ისეთი ხასიათის სავარჯიშოს, დავალებას, კითხვას, რომლებიც უზრუნველყოფენ გაკვეთილებზე პრობლემური სიტუაციის შექმნას, მომდევნო გაკვეთილებზე „სხვადასხვა კომბინაციებში“ აღქმულის გამეორების შესაძლებლობას და პროგრამული მასალის საფუძვლიან გააზრებას.

3. დაინერგოს პრაქტიკაში მოსწავლეთა სასკოლო გამამხნევებელი ვარჯიში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (დილით, გაკვეთილებს შორის, გაზრდილი შესვენებების დროს და ა.შ.). ამაღლდეს ფიზკულტურის გაკვეთილის როლი და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მოწყობაში, შემოღებულ იქნეს ამ საგანში საშინაო დავალებების მიცემა ყოველდღიური ინდივიდუალური ფიზიკური წრთობის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, მიღებულ იქნეს ზომები სკოლებთან მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და ნაგებობების მოსაწყობად და განხორციელდეს კომპლექსური ღონისძიებები, რათა სკოლაში შეიქმნას თავისებური „ფიზკულტურული კლიმატი“.

4. სკოლების დირექტორებმა აამაღლონ მომთხოვნელობა თავიანთი თავისა და მასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობისადმი, სრულყონ სკოლაში მეთოდური მუშაობის ფორმები და მეთოდები, გააძლიერონ შინასასკოლო კონტროლი, გადამჭრელი ზომები მიიღონ დისციპლინისა და წესრიგის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა შესაბამისი დახელოვნების ინსტიტუტების, მეთოდკაბინეტებისა და მეთოდგაერთიანებების მეშვეობით, სისტემატური ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს სწავლების ხარისხის ამაღლებაში, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვისათვის, პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ ცალკეული სკოლების პედკოლექტივების მიერ ამ ბრძანების შესასრულებლად მიმდინარე მუშაობის შედეგები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თვლის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის საქმეში საფუძვლად უნდა დაედოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩატარებული საოლქო, საქალაქო და ზონალური თათბირების მასალები და აღნიშნული ბრძანება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 1179

სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ

ვაქვეყნებ სსრ კავშირის განათლების მინისტრის ამხ. მ. ა. პროკოფიევის 1976 წლის 17 აგვისტოს № 52-მ საინსტრუქციო წერილს „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ“ და საკავშირო სამინისტროს სახალხო განათლების მთავარი ინსპექციისა და სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1976 წლის 7 სექტემბრის ცირკულარულ წერილს „სკოლის საქმიანობის შეფასების შესახებ“.

სკოლის საქმიანობის შეფასების ამ ძირითადი დოკუმენტების მოთხოვნათა შესასრულებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. 1. ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკამდე დაიყვანონ საინსტრუქციო წერილი „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ“.

1. 2. სახალხო განათლების ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოაწყონ ამ დოკუმენტების დეტალური გაცნობა და შესწავლა.

1. 3. კრიტერიუმების შესასწავლად მუშაობის გაშლასთან ერთად, მთავარი ყურადღება მიაქციოს სკოლების ხელმძღვანელების სტილისა და მეთოდების სრულყოფას, უზრუნველყონ კრიტერიუმების ყველა პუნქტის მკაცრი დაცვა.

1. 4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შეფასებისას განუხრელად იხელმძღვანელონ კრიტერიუმების მოთხოვნებით.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. ამხ.

მ. დარჩია. ა. ელიზბარაშვილი, ჟ. ჯულაყიძე, რ. აგრბა, ნ. გოგავა, შ. ლოხოვი) მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკურსო ღონისძიებებში გაითვალისწინონ სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ნ. ჯიბლაძეს) პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე საათების გარკვეული რაოდენობა დაუთმოს სკოლის მუშაობის შეფასების კრიტერიუმების შესწავლას.

4. სკოლების სამმართველომ უახლოეს მომავალში უზრუნველყოს კრიტერიუმების 6,0 ათას ეგზემპლარად გამრავლება და სახალხო განათლების ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე დაყვანა.

5. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის (ამხ. ამხ. ნ. კანდელაკი, თ. ნიკოლაიშვილი, გ. გუჯეჯიანი, თ. ჟღენტი, ლ. მნათობიშვილი) სამმართველოებმა სკოლის მუშაობის შემოწმებისა და ანალიზის დროს პირველ რიგში იხელმძღვანელონ კრიტერიუმების მოთხოვნებით.

მინისტრი **ო. ქინძლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 17 აგვისტოს ბრძანება № 52

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) მინისტრებს, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, ქალაქების და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს

სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ

სკოლა ჩვენს ქვეყანაში ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას, ამზადებს ახალგაზრდა თაობებს სახალხო მეურნეობაში აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ზრდის მათ კომუნიზმის სულისკვეთებით, მისი საქმიანობა მრავალფეროვანი და მრავალგვგმიანია. სკკპ XXV ყრილობამ თავისი გადაწყვეტილებებში ხაზი გაუსვა სკოლის იდეურ-აღმზრდელობითი ფუნქციის შემდგომი გაღრმავების, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გაზრდის, მათში ცოდნის დაშოუკიდებლად შევსების ჩვევების შთანერგვის აუცილებლობას.

ამასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობის ობიექტური შეფასება, ის მოვალეა გეზი მისცეს პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებს, რაც შეიძლება სრულფასოვნად შეასრულონ ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის თაობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა. ასეთი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი შედეგების ღრმა ანალიზის საფუძველზე.

გარდა ამისა, არც თუ იშვიათად, სკოლის საქმიანობა ფასდება ერთი რომელიმე მაჩვენებლის მიხედვით და ამის საფუძველზე კეთდება დასკვნები სხვა არსებითი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. უფრო ხშირად, ასეთ მაჩვენებლებად ღებულობენ აკადემიური

წარმატების პროცენტს. ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში ამ მაჩვენებლის მიხედვით განსაზღვრავენ ხოლმე სკოლების წარმატებას. ასეთი მიდგომა იწვევს ბევრ არასასურველ შედეგს, ობიექტურად უწყობს ხელს ნიშნების ხელოვნურად ამაღლებას, აკნინებს აღმზრდელობითი და სხვა ფაქტორების მნიშვნელობას სკოლის საქმიანობაში. საზოგადოებრიობა სამართლიანად აცხადებს პროტესტს სკოლის მუშაობის შეფასებისადმი ასეთი ცალმხრივი მიდგომის წინააღმდეგ. მსგავსი მდგომარეობის კრიტიკა არაერთხელ გამოითქვა პრესის ფურცლებზე.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრო ყურადღებას ამახვილებს სკოლის საქმიანობის შეფასებისას სასწავლო აღმზრდელობითი პროცესისა და მისი შედეგების ღრმა, ყოველმხრივი ანალიზის გაკეთების აუცილებლობაზე და რეკომენდაციას იძლევა იხელმძღვანელოთ შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

ა) საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულება

იმ ბავშვების აღრიცხვა, რომლებიც ექვემდებარებიან სწავლებას და მათი მთლიანად ჩაბმა სკოლაში. რვაწლიანი განათლების დროულად დამთავრება საყოველთაო სწავლებისათვის პირობების არსებობა: სასკოლო ინტერნატი, გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, სკოლაში ბავშვების ტრანსპორტით მიყვანის ორგანიზაცია, ცხელი კვება. ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საექიმო კონტროლი.

ბ) ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფა

სწავლის გაგრძელების მიზნით რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა სრული ჩაბმა უფროს კლასებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. მათ მიერ სრული საშუალო განათლების კურსის დროულად დამთავრება. პროფესიულ-საორიენტაციო მუშაობის ორგანიზაცია, კურსდამთავრებულთა რაციონალური განაწილება მატერიალური წარმოების სფეროში, სასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

გ) სკოლის მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა აღზრდის დონე, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა სკოლაში

აღმზრდელობითი მუშაობის სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივ და მორმითი აღზრდის ერთიანობას. საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის ძირითადი სახეებისა და შემოქმედებითი ფორმების მრავალმხრივ განვითარებას. მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზება და დარაზმულობა. პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმმართველი როლი. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებისა და მოსწავლეთა ტიპიური წესების მოთხოვნა და შესრულება. თვითმოქმედის საწყისების განვითარება კოლექტივში. მოსწავლეთა დატვირთვა სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალებითა და სისტემატური მეცადინეობით სხვადასხვა გაერთიანებებში ინტერესების მიხედვით. მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი საქმიანობაში, ზაფხულის არდადეგების პერიოდში შრომითი საქმიანობის ჩატარებით. შრომითი აღზრდის სისტემის არსებობა. მოსწავლეთა შორის სამართალდარღვევის, მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხვაზე აყვანის ფაქტების უქონობა.

დ) მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის სიღრმე

სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროგრამების შესრულება პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების, ექსკურსიების, მოსწავლეთა შრომითი საწარმოო პრაქტიკის ჩატარება. სწავლების აღმზრდელობითი და განმავითარებელი პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება მოსწავლეების მიერ უმნიშვნელოვანესი თეორიული, მსოფლმხედველური ცნებების შეთვისება. პროგრამებით გათვალისწინებული ე. ი. ლენინის ნაწარმოებების, სკკპ დოკუმენტების ცოდნა, ფაქტებისა და მოვლენების კლასობრივი პოზიციებიდან შეფასებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის განვითარების დონე. დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობის ჩვენების დაუფლება. მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების ხარისხი. სწავლებისა და აღზრდის პროცესში მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომის განხორციელება: მუშაობა იმ მოსწავლეებთან, რომლებიც მზარდ ინტერესს ამჟღავნებენ ამა თუ იმ საგნის შესწავლაში. ფაკულტატიური

მეცადინეობის მდგომარეობა და ორგანიზაცია. სასწავლო კაბინეტების არსებობა და მათი აღჭურვილობა სასწავლო მოწყობილობებითა და ხელსაწყოებით. მოსწავლეთა მონაწილეობა ტექნიკური შემოქმედების ყოველგვარ წრეებსა და სასოფლო-სამეურნეო მცდელობებში. სასკოლათაშორისო ოლიმპიადებში მოსწავლეთა მოსწავლეთა მონაწილეობის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის ღონე

სკოლის მუშაობის რაციონალური ორგანიზაცია და მისი დაგეგმვა. პედაგოგიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შრომითი დისციპლინის მდგომარეობა. სამუშაო პირობები და მასწავლებლის დროის რაციონალური გამოყენება. სკოლის პრაქტიკაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, პედაგოგიური კოლექტივის ერთსულოვნება.

შიდასასკოლო კონტროლის ორგანიზაცია. მასწავლებელთა მუშაობის სისტემის შესწავლა. სკოლის მუშაკებისადმი პრაქტიკული დახმარება, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებები.

პედაგოგიური მიღწევათა დანერგვა და მოწინავე გამოცდილებების განზოგადება. მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფისათვის მუშაობის ეფექტურობა. მეთოდური მუშაობის მდგომარეობა სკოლაში. თვითგანათლების ორგანიზაცია. ბიბლიოთეკების მუშაობა. მეცადინეობათა კაბინეტური სისტემის ორგანიზაცია.

კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი დახმარება მოსწავლეთა კოლექტივის ცხოვრებაში მათი როლის ამაღლების მიზნით.

სკოლის მუშაობა მშობლებთან და შეფ ორგანიზაციებთან. პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაცია.

აღნიშნული მაჩვენებლები წარმოადგენენ სკოლის საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმებს და სკოლის მუშაობის ანალიზის დროს პირველ რიგში ამით უნდა იხელმძღვანელოთ.

მინისტრი **მ. ა. პროკოფიევი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 7 სექტემბრის ბრძანება № 85—14/12

მოკავშირე რესპუბლიკების განათლების, სახალხო განათლების სამინისტროებს

სკოლის საქმიანობის შეფასების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიურობისა და ხარისხის ამაღლების გზები. მოზარდი თაობების კომუნისტური აღზრდისა და სწავლების შემდგომი სრულყოფის საქმეები უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის იდეური აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება, მეცნიერების საფუძვლების შესწავლის გაუმჯობესება, სწავლების მეთოდების სრულყოფა, მოსწავლეთა შეიარაღება დამოუკიდებლად ცოდნის შეძენის ჩვევებით. მოსწავლეთა მარქსტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მათი მომზადება ცხოვრებისათვის. კომუნისტური მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების ხარისხის ამაღლება ბევრადაა დამოკიდებული სკოლის მუშაობის ობიექტურ შეფასებაზე. სსრ კავშირის განათლების მინისტრის მ. ა. პროკოფიევის წერილში „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ“ მოცემულია ძირითადი მაჩვენებლები, რომლებითაც პირველ რიგში უნდა ვიხელმძღვანელოთ სკოლის საქმიანობის ანალიზისა და შეფასების დროს.

სკოლის საქმიანობის ობიექტური შეფასება შესაძლებელია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შედეგებისა და მდგომარეობის მხოლოდ ღრმა ანალიზის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენობას, არა მარტო საბოლოო შედეგების შესწავლას, არამედ მათი მიღწევის პროცესის

ოპტიმალურობას, იმ მაჩვენებლების გამოყენებას, რომლებმაც განაპირობეს ესა თუ ის ნაკლოვანებები, „რათა ნამდვილად გავიცნოთ საგანი,—წერდა ვ. ი. ლენინი,—საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე“, ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ამას სავსებით, მაგრამ ყოველმხრივობის მოთხოვნა უზრუნველგყოფს შეცდომებისა და გახევებისაგან“ (ვ. ი. ლენინი, თხზ.სრული კრებული, ტ. 32, გვ. 102)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის მუშაობის შეფასებისადმი ყოველმხრივი მიდგომა გულისხმობს საჭირო ინფორმაციის მიღებასა და გამოყენებას სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებაზე, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფაზე, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის მდგომარეობისა და მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონს შესახებ, მათ მიერ მეცნიერების საფუძვლების შესწავლის სიღრმეზე, აგრეთვე სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის დონეზე. სკოლის მუშაობის შეფასებისას, საჭიროა განვსაზღვროთ სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების გზები, სკოლის მმართველობის სრულყოფა.

1. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულება

მაჩვენებლების მიხედვით სკოლის მუშაობის შეფასებისას საჭიროა გავითვალისწინოთ: სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სწავლებაში, მათი გულმოდგინედ აღრიცხვა მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ექვსი და შვიდი წლის ასაკის ბავშვების სიების არსებობა, ალფაბეტური წიგნისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების სისწორე; იმ მიზეზების გამოვლინება და აღმოფხვრა. რომლებიც ხელს უშლიან მოსწავლეებს, იარონ სკოლაში; სათანადო პირობების შექმნა ყველა მოსწავლის სწავლებაში ჩაბმისათვის (ინტერნატის არსებობა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ორგანიზაცია, ბავშვების ტრანსპორტით მიყვანა სკოლაში და სკოლიდან. საყოველთაო სწავლების ფონდის რაციონალურად გამოყენება, ბავშვების კვების ორგანიზაცია, ავადმყოფი ბავშვების მეცადინეობა ბინაზე და ა. შ.); მოსწავლეთა მიერ რვაწლიანი სწავლების დროულად დასრულება;

2. ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფა

ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებული მუშაობის გაანალიზებისას საგანგებო მოქცევა ყურადღება, თუ როგორია ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის როლი რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა მეცხრე კლასებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩაბმის საქმეში. მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს პროფორიენტაციული მუშაობის დონე. როგორია სკოლის როლი X (XI) კლასის კურსდამთავრებულთა მატერიალური წარმოების სფეროში დროულად ჩაბმის, პროფესიის მიღების მიზნით მათი უმაღლეს სასწავლებლებში განათლების გაგრძელების, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, კურსებზე ჩაბმის საქმეში.

3. მოსწავლეთა და სკოლის კურსდამთავრებულთა აღზრდილობის დონე, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა სკოლაში

მოსწავლეთა აღმზრელობის დონე: მათი იდეური რწმენა, ცოდნა, შრომისმოყვარეობა, კულტურა, მორალური ნორმები—ყველაფერი ეს ვლინდება სკოლის დამთავრების შემდეგ. სკოლის პირობებში შეფასებული უნდა იქნეს აღმზრდელობითი პროცესი და მისი კონკრეტული შედეგები ბავშვების ასაკის გათვალისწინებით.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „რა ნიშნების მიხედვით უნდა ვისმჯელოთ რეალურ პიროვნებათა რეალურ ზრახვებსა და გრძნობებზე? ცხადია ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მოქმედება, (ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული ტ. 1 გვ. 487). მაშასადამე, მოსწავლეთა ზრდილობიანობისა და სხვადასხვა სახის საქმიანობასთან დამოკიდებულების მიხედვით.

გარეგანი მაჩვენებლები: სკოლის გაფორმება, წარმატებები სპორტულ შეჯიბრებებში. მხატვრულ თვითმოქმედებაში, შეგროვილი ჯარისა და მაკულატურის რაოდენობა, პირველი ადგილები ოლიმპიადებში, ლაშქრობებში და ა. შ.—ყოველივე ეს არ განსაზღვრავს აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებს, ეს მაჩვენებლები მიიღება მხედველობაში მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმატებებით წყდება მთავარი ამოცანა—იზრდება მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონე.

პირველ რიგში უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასებული აღ-
მზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია სკოლაში.

საჭიროა გამოირკვეს, შექმნილია თუ არა სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის მთლიანობას, აღზრდის ორგანიულ ურთიერთკავშირს სწავლების პროცესში და არასასწავლო პერიოდში. ეს უნდა დადგინდეს სამუშაო გეგმებისა და სხვა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, გაკვეთილებზე და კლასგარეშე ღონისძიებების, მასწავლებელთან საუბრების საფუძველზე.

საჭიროა გაუკეთდეს ანალიზი, თუ როგორაა დაგეგმილი მუშაობა იდეურ-პოლიტიკური, სამხედრო-პატრიოტული, შრომითი, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდის საქმეში. როგორ ხორციელდება პედაგოგიური დახმარება პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საჭიროა გამოირკვეს, თუ როგორ ხდება კლასების ხელმძღვანელთა, ბავშვთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებებისა და ა. შ. მუშაობის კოორდინაცია. როგორ ტარდება საღამოები, ლაშქრობები, წრეების, სექციების მეცადინეობები, როგორია გატარებული ღონისძიებების საერთო დონე, როგორი მუშაობა ტარდება ბავშვთა კოლექტივების დარაზმულობისა და ოგანიზაციის საქმეში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას მათი ინტერესების, ხასიათის ფორმირების საქმეში. ირკვევა, თუ რა დახმარება ეწევა ე. წ. „ძნელად აღსაზრდელ“ და სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარი მოვლენების, მათი გათვითცნობიერების მიხედვით.

არსებითია დავადგინოთ, თუ რაოდენ სისტემატურად ესწრებიან მოსწავლეთა პოლიტინფორმაციებს, დისპუტებს, როგორ სწავლობენ ვ. ი. ლენინის ნაშრომებს, სკკპ XXV ყრილობის მასალებს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დოკუმენტებს, როგორ ტარდება ლენინური ჩათვლა. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური სიმწიფის დონე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ შეაფასონ მოვლენები პარტიული, კლასობრივი პოზიციებიდან, დაუპირისპირდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ნებისმიერ გამოვლინებებს.

მოსწავლეთა ზრდილობიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი ზნეობრივი აღზრდის დონე, რომელიც შეესაბამება კომუნიზმის მშენებლის მორალურ-ეთიკურ დექსის მოთხოვნილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა გამოირკვეს მოსწავლეთა აქტიურობის დონე. მათი პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივი დავალებების შესრულებაში, მათი დაინტერესება საზოგადოებრივი საქმიანობით, სასწავლო მეცადიეობით და ა. შ.

ფრიად მნიშვნელოვანია დავადგინოთ, როგორია მოსწავლეთა დისციპლინა, როგორ სრულდება მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები, რაოდენ ობიექტურია მათი ყოფაქცევის შეფასება, არიან თუ არა სკოლაში ისეთი მოსწავლეები რომლებიც მილიციის ბავშვთა ოთახში არიან აყვანილი აღრიცხვაზე, არის თუ არა სამართლდარღვევის ფაქტები მოსწავლეთა შორის.

მოსწავლეთა ზრდილობიანობა შეფასდება აგრეთვე მათი დამოკიდებულებით ერთმანეთის, ავადმყოფების, უფროსი ბავშვების მიმართ, ამხანაგობის, ურთიერთ ღახმარების გრძნობით, კოლექტივის, მეგობრობის, სკოლის, მასწავლებლების, მშობლებისადმი პატივისცემით.

მოსწავლეთა ზრდილობიანობის დონე განისაზღვრება სხვა არაპირდაპირი ნიშანთვისებების მიხედვითაც: შენობების მოვლა-პატრონობით, გაფორმებით, ავეჯის, თვალსაჩინო ხელსაწყოების, ბიბლიოთეკური ფონდის, სკოლის სანიტარული მდგომარეობის, მორიგეობის ხარისხის მიხედვით.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდა და შრომითი აქტიურობა ფასდება უპირველეს ყოვლისა შრომითი სწავლების დონით და მოსწავლეთა მონაწილეობით საზოგადოებრივ-სასარგებლო და საწარმოო შრომაში. ირკვევა, თუ როგორაა ორგანიზებული მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობა, როგორია მათი მონაწილეობა შრომით საქმიანობაში საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ჩათვლით, მონაწილეობა სკოლის რემონტში, თვითმომსახურეობაში, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება საშეფო წარმოებების, კოლმეურნეობების დავალებათა შესრულებისადმი. მხედველობაში მიიღება აზრი იმ წარმოებათა ხელმძღვანელობისა, სადაც შრომობდნენ მოცემული სკოლის მოსწავლეები.

მოსწავლეთა ზრდილობიანობა მჟღავნდება მათი საერთო ესთეტიკური კულტურის დონეში.

ესთეტიკურ აღზრდაში სკოლის მუშაობის შეფასებისას უნდა დავადგინოთ, თუ როგორაა დაყენებული ესთეტიკური ციკლისა-ნების სწავლება, თუ რაოდენ შესწევთ მოსწავლეებს უნარი, ... სონ და გაიგონ მათი ასაკისათვის მისაწვდომი ხელოვნების ნაწარმოები, თუ რაოდენ იცავენ საბჭოთა საზოგადოებაში მიღებულ ეთიკის ნორმებს, როგორ მუშაობს წრეები, ეწყობა საღამოები და სხვა, თუ როგორაა ორგანიზებული ხელოვნების ნაწარმოების გაცნობა ბავშვების მიერ.

სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის შეფასებისას საჭიროა განვსაზღვროთ მოსწავლეთა ფიზიკური და სამხედრო-სპორტული დონე და მასობრიობა.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფიზიკური კულტურისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილების ჩატარების ხარისხი, კლასგარეშე დროს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში ჩაბმის მასიურობა, მშრ-ს კომპლექსის ნორმების ჩაბარება, მონაწილეობა შეჯიბრებებში, ლაშქრობებში, აგრეთვე სამხედრო-სპორტული მომზადების შედეგები.

4. მეცნიერული საფუძვლების შესწავლის სიღრმე

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მდგომარეობისა და შედეგების შეფასებისას, საჭიროა, პირველ რიგში, დავადგინოთ, თუ როგორ სრულდება სასწავლო გეგმა და სასწავლო პროგრამები. ყურადღება ექცევა პროგრამების არა მათტო თეორიულ, არამედ პრაქტიკული ნაწილის შესრულებას, ლაბორატორიულ, პრაქტიკულ და საკონტროლო სამუშაოების ჩატარებას.

სწავლების ხარისხი თავის გამოსახულებას ჰპოვებს მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების დონეში (მოცულობა, სიღრმე, სისტემატურობა, სიმტკიცე, შეგნებულობა). ამასთან, უნდა შეფასდეს არა მარტო ფაქტიური მასალის ცოდნა, არამედ თეორიული მსოფლმხედველური ცნებების ათვისება, მოსწავლეთა უნარი, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა პრაქტიკაში. ყურადღება ექცევა პოლიტექნიზმის პრინციპის რეალიზაციის დონეს სასწავლო პროცესში.

მოსწავლეთა ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება ცალკეულ სასწავლო საგნებში არსებული შეფასების ნორმების შესაბამისად.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება ხორციელდება სკოლის ხელმძღვანელობისა და მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო წე-

რების, მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვის, წერითი ნამუშევრების ანალიზის გზით. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონის შემოწმების ეტაპებზე ... საჭიროა, ჩატარდეს მოსწავლეთა ცოდნაში არსებული ხარვეზების კლასიფიკაცია, დადგინდეს მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ეს ხარვეზები, დაისახოს ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობების, მოსწავლეთა ნიჭისა და შემეცნებითი ინტერესების განვითარებას, დამოუკიდებლად ცოდნის შეშენის უნარით მათი შეიარაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „თანამედროვე პირობები,—ამბობდა კომნისტური პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ-ს ცკ-ის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი,—როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის დონის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, უკვე შეუძლებელია, რომ მოავარი იმედი დაამყარო გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვებს ჩავუნერგოთ თავისი ცოდნის დამოუკიდებლად შევსების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი“.

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების დონე ვლინდება ფაქტობრივი მასალის აღდგენისას, მაგალითების დამოუკიდებლად შერჩევისას ლოგიკურობით, პასუხების თანმიმდევრობისა და სრულყოფისას. მოსწავლეთა მიერ თავიანთი ცოდნის დამოუკიდებლად შევსების, პოლიტიკურ და მეცნიერულ ინფორმაციაში ორიენტირების ჩვევის შეფასებისას, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, თუ როგორ შესწევთ უნარი იმუშაონ სახელმძღვანელოზე, პოლიტიკურ, მეცნიერულ, მხატვრულ, სალექსიკონო ლიტერატურაზე, წერონ თხზულებები, ჩაატარონ ცდები, გამოიყენონ ექსკურსიების, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების დროს მიღებული მონაცემები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ოლიმპიადებში, საგანში კლასგარეშე მუშაობისას მიღებულ მონაწილეობის შედეგებს.

მასწავლებლის ძირითადი მოვალეობაა: მტკიცედ შეასწავლოს მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლები, ჩამოაყალიბოს კომუნისტური მსოფლმხედველობა, განუვითაროს შემეცნებითი ინტერესი და უნარი, აღზარდოს მოსწავლეები კომუნისტური მორალის სულისკვეთებით. მასწავლებელი პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლების ხარისხზე, „მათი ცოდნის დონესა და აღზრდაზე“ (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლის წესდება. IV ნაწ. § 35). მაშასადამე, სკოლის მუშაობის შეფასებისას, აუცილებელია მიექცეს საჭირო ყურადღება არა მარტოოდენ სასწავლო პროცესის შედეგებს, არამედ სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობასაც, გაკვეთილების ხარისხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

